დაინძრენ, რამაც გააღვიძა ქართველები და თვალები აუხილვა.
ეს წუჯლუგუნი იყო 1866 წ. გაზეო „დროების“ დაარსება
და საქართველოში როგორც მოღვაწე მწერალ კაცების გა-
ჩენა, ასეთ კაცნი გახლავან გორგი წერეთელი, ნიკოლოზ
ნიკოლაძე და სერგეი მესხი.

გ. წერეთელი შეიძლება დიდი, გენიასური შეწერალი
არ იყო, მაგრამ იგი ქართველები კი დიდ მოღვაწეთ უნდა.



ჩიოთვალის. ამ პირვე 1866 წ. გამოსცა ქვირის უკანას და უკანას „დროება“ ამის მეტე 1868 წ. სასოფლო გაზეთის“ გამოცემა დაწყო და 1871 წ. ეურნალ „კრებულის“ გამოცემა მოახერხა. გამომცემლობის გარდა გ. წერეთელმა სასტამბო საქმეების ხელობაც გაიცნა პეტერბურვში, ამიტომ მან 1870 წ. იჯარით მიღო დუბლერის სტამბა, ეს სტამბა თუთილისში 1846 წ. არის გახსნილი.

გ. წერეთელმა ამ სტამბას უურ „კრებულის“ სტამბა უწოდა. მას სურვილი აქვნდა, რომ ამ სტამბის საშუალებით „კრებულის“ ბეჭდვა გაადვილდებოდა, ისევე სხვა წიგნებიც ებეჭდა, რჩოი სიტყვით უნდოდა, რომ „კრებულის“ სტამბა ქართული წიგნის ბეჭდვის საკუთრებათ გამზღვიულის. ასეთი დიდებული წალილი აქვნდა გ. წერეთელს თავის სტამბის გახსნის გამო, ხოლო ეს წალილი მას ვერ იღუსრულდა, რადგანაც მაგ. იგი შეუძლებელი იყო. ჯერ დღესაც უხერხულია სტამბებისაგან წინამდობლობა და აბა მაშინ ხომ სულ ვერ მოხერხდებოდა.

მაინც გ. წერეთელმა თავის ენერგია გვაჩვენა და იგი ქართული სიტყვიერების გახაძლივერებლობა ყველა ღონისძიებას ხმარობდა, ყველა ღონის ძიებას ღონობდა, რომ მით ეგები ქართული წიგნების ბეჭდვის საქმეც უკეთესად გაადვილდებოდა. ეს გააღვილება მოითხოვდა მომუშავეთა რაცხვს და მათ ხელს, ეს კი მაშინ ერთობ ძნელი და ძირი იყო, სტამბის მუშები და ხელოსნები მაშინ ერთობ ცოტანი იყვნენ, ამიტომ გ. წერეთელს თავისი კეთილი აზრი ვერ შეუსრულდა, სტამბის შენახვა გაუძნელდა და სამი წლის არსებობის შედეგ, სტამბა ისევ პატრიანს დაუბრუნა. ხოლო თეითონ მაინც ბეჭდვის საქმეს თავი არ გაანება.. ეს საქმეც გამოკიდილება იყო, სტამბის საქმეც სცადა და მისი საოსტარო და სახელოსნო საქმეებიც უკეთ გაიცნა. ყოველ შემთხვევაში, მისმა სტამბამ მოკლე დროის განმავლობაში აღბეჭდა თეითონ გზა და კცალი, ამ სტამბის აქვნდა ფარმა ასე: —



„სტამბა „ქრებულის“ და გ. წერეთლის ამხანაგობრების შემთხვევაში თალია ამ სტამბი მცირე ხანს იარსება, ხოლო მისმა არსებობაშ კი ქართული სტამბის იტორიაში ზომიერი აღავი დაიყავა. იმიტომაც ჩვენც მოკლედ მოვიხსენეთ ამ სტამბის არსებობის ცნობები და გ. წერეთლის ამაგი. ეს სტამბა გ. წერეთლი შეიძინა 1870 წ. და მას შემდეგ დახურა 1873 წ.

სტეფანე მელიქიშვილი და ამხანაგობის სტამბა

სტეფანე გრიგოლის ძე შელიქიშვილი არის წევრი იმ დროის თავობისა და დროის, რომელსაც ეკუთვნიან დიმიტ-რი ბაქრაძე, ნიკოლოზ ლოლოვერიძე, ვახტანგ თელაშვილი. თუმცა სტეფანე მელიქიშვილს ზემოხსენებულ პირთა ძისგვესად არა აქვს მრავალფეროვანი აღწერის ცნობები, მაგრამ რაც არის და აქვს, უნდა ითქვას, რომ იგიც ღირსეული გახლავსთ ამ პირის დაფასების შესახებ: პირველნი თუ იყვნენ მარჯვენა ხელი, მაშინ ეს იყო მარცხენა, შემდეგ დროში კი ეს გადა ორივე და თავის ღირსების და მასული-შეილობის დასამტკიცებლად თვისის საქმის მოყვარეობით და სტამბის გაძლოლის ენერგიით მეტად მორთული ღირსებაც დაიმკვიდრა.

ტრამბას აკენდა სახელი სტეფანე მელიქიშვილის და ამხა-ნაგობის სტამბა და კეშარიარად ამ სახელწოდების თანხმად მან თევისი სტამბის ღირსებაც კარგად შეინახა, ამისთვის მან ეკროპაშიაც იმგზავრი, სასტამბო საქმენი სპეციალურად შეი-სწავლა და მის მეტე თვეის შრომის უმეტესად მრწყინვალე მიმდინარეობაც მისცა. უკანასკნელ ივი ისე აღფრთოვნდა სა-სტამბო საქმის ტრადიალებით, რომ ზემოლ ხსენებულ ამხანა-გებთაგან მთლად შეიძინა სტამბა და თავის საკუთრებათ გა-ხადა.

სტეფანე მელიქიშვილის სახელის მექონი სტამბა გაიხს-ნა 1860 წ. სტამბის გახსნით წინდაწინვე დაწყეს მათ ქარ-



თული წიგნების ბეჭდვა. 1866 წ. გამოსცეს ქართული მუსიკურის განხილვა განხილის გამომცემლად თვით სტამბის პარანინი სტ. მელიქიშვილი გახლუათ და რეჟისტრორად გ. წერეთელი. ამ განხილის გამოცემა საქართველოში პირველა სამაგალითო საქმე გახლდათ. შემდეგ დროსაც, ეს სტამბა ქართველი ერის საქმეებს ბრწყინვა-ურდ უძღვებოდა და ამ სტამბაში დაბეჭდილი წიგნები იფინებოდა მრავლად მთელ საქართველოში.

ასეთ საქმეთა გარეშე, ესევე სტამბა ხელს უწყობდა ქარალ განხილვის და წიგნების გამოცემის საქმესაც. მაგალითებრ აქ იმდებოდოდა ეურ. „მნათობი“ 1869 წ. ეურ. „პრეზელი“ 1871 წ. განხილ „დროება“ და „სასოფლო განხილი“ 1868 წ. ასევე სხვა და სხვა წიგნები, თვით მეც ამ სტამბამ დავიწყე პირველად წიგნის გამომცემლობა. ასე გვიწყობდა ეს სტამბა ამ სამწერლო საქმეში ხელს. სტეფანე მელიქიშვილის ამაგი ამ შერით სიმპატიური გახლავსთ. მას ერცული სინტერესო ისტორია აქვს, იგი ღირსია კრულიდ ანუსეინი, ხოლო სამწერებოდ განვიდენებულის შესახებ ჩვენ ბევრი ირაფერი კიცით და ამიტომ ჩვენც აქ ასე მოკლედ ფინუსებთ. იმსაც მოიცხენებთ, რომ სტამბის გამგეობაში მას მთარდამხარ ედგა ვახტანგ თულაშვილიც. 1880 წლის შემდეგ სტეფანე მელიქიშვილი თვეის საქმეების გამო ტაშკენტში გადასახლდა. ამის შემდეგ ილარი სერგეი შესხმა იცოცლა დიდხანს, 1883 წ. შემდევიდამ განხილ „დროება“ სხვების შეთაურობით იწყო გამოსლევა. ეს სსენატული სტამბა კი სტეფანეს გამგეზავრების შემდეგ გადავიდა მის მშა იასებ შელიქიშვილის ხელში.

ითარებ გრიგოლის მე მელიშვილი.

უნცროსი მშა სტეფანესი. სკოლის შემდეგ, ახალგაზღიულიდამ თათქმის სტამბაში იღიზარდა. სტამბის წარმოების



საქმე ზედ მიწევნით, კარგად შეისწავლა, სტეფანიშვილი მამა
სტამბის კოველთვის ეს განაგებდა. როგორც უფროსი ჩა
მის, ისევე თვით ეს ითხოვდის გულ-შემატკიფვარი მესტამბე
გახლდათ ქართული მწიგნობრობის წინაშე. ესეც უწყობდა
ხელს როგორიც გაზრდა ადრების გამოცემის საქმეს, იუვე
ქართული წიგნების გამოცემის საქმეებსაც. სხვა მესტამბესა-
ვით, ესენი და ნაცეტურ ითხოვდი სტამბის ფას ფეხს არ აქტრ-
და, შეძლების დაგვარად ჟველა გამომცემელს ხელს უწყობ-
და წიგნების გამოცემაში. თვით მეც აშათ სტამბაში დაიიწ-
ყე წიგნების გამოცემა.

ითხებ მელიქიშვილი იქამდის დაახლოებული იყო მშო-
ბლიურ მწერლების სიყვარულთან, რომ ხშიცად თვით იგიც
ბეჭდავდა სხვა და სხვა სასარგებლო ქართულ წიგნებს თავის
გამომცემლობით. გაზრდა ადროება ხომ სულ ვერ გამოიცე-
მოდა თავ-თავის დროს, რომ ესენი არ ყოფილიყვნენ. ეს გა-
ზრდა 1875 წ. ვერც კვირაში სამჯერ გამოვიდოდა და 1877
წ. ვერც დღიურად, რომ ეს პირი არ ყოფილიყვნენ. ამის
შემდეგ, როგორც სტეფანეს, ისევე ითხებს მეტად დიდი კე-
თილი ამაგი და სამსახური მიუძღვით, თუ არ ესენი, მაშინ
ქართველი ერი ნახვარზედ მეტ დროს უქართულ ვაზეთოთ
იქნებოდნენ. ამ გარებოებას მეტად დიდი სიშპატიური ისტო-
რია აქვს, იგი ღირსია ერცულად აღწერის, შოლოდ სამწუხა-
როდ იგი არავის აღონდება, დღემდეც ამ პირთა კეთილი
ამაგის ცნობები არავის აუნუსსაც. გაზრდა ადროების გამო-
ცემის საქმე და მელიქიშვილების ამაგის ანუსსეს მთელი წიგ-
ნი მოუნდება და არა ეს პატარა წერილი, მაგრამ რა გაეწ-
ყობა, ჩენი წიგნი მარტოდ სტამბის არსებობის საქმეს ეხება
დი ამიტომაც ასე მოკლედ ვნუსსავთ მათ შრომის შესახებ.

დავსძგნთ აქ იშასაც, რომ გაზრდა ადროების არსებო-
ბაზედ, ნივთიერ შრომის გარდა ამ პირთ კალმით შრომაც
აქვსთ დახსახული და თვით ამათ დას, პატივცემულ ვაკატი-
რინე გრიგოლის ასულს მესხისას, მეტად დიდი ამაგი, დიდი



შრომა მიუძღვის ამ გაზეთის გამოცემაშედ. მოკტრულაშვილია
მოგასქნოთ, რომ გაშეთ „დროების“ არსებობის წინაშე თი-
თქმის მოელი ამათი ოჯახი გახლავსთ ამიგდარი და ვალ-გა-
ლახდილი მშობლიურის ქვეყნისა და ერის მწერლობის წინა-
შე. ასეთი ბრწყინვალე ისტორია აქვთ როგორც ამ პირთა
შრომას, ისევე მათ სტამბის არსებობის საქმესაც ქართველთ
წინაშე. თვით დღვევანდელი „ქართველთ წიგნის გამომცემელ
ამხანაგობას“ სტამბამაც ამათ სტამბიდამ არის სხვათაგან შეძე-
ნილი და დაარსებული.

ქართული სტამბის ისტორიიდამ

ქართული სტამბის და ბეჭდვის ისტორია თუმცა ძველი
რამ არ არის, მაგრამ რაც არის და რაც გვაძალია, ჩვენ არც
მისი ავეტრენიანობისა ვიცით-ჩა, თითქოს ერთის მხრით მის
გაცნობას და ანუსხვას არც კი ვსაჭიროებთ, მაგრამ ეს არ
არის ფარსაგი და სანუქარი, ყოველ ერს აქვს თავისი სტამ-
ბის ისტორიის ცნობები, მათ კარგათ იციან არა მარტო
სტამბის დაარსება და წიგნების ბეჭდვა, არამედ იმ პირთა
შრომის და ცხოვრების ცნობებიც, ვისაც კი სასტამბო ასპა-
რეზედ უდავაწნია. სტამბის და მწიგნობრიობის ასპარეზედ
უმთავრესად თუ ყველაგან და ყველასაგან მარტოდ მწერლები,
რედაქტორები და გამომცემლები ფასდებიან, ვიტუით,
რომ ამათ გვერდით მდგარათ უნდა გამოცხადდნენ სტამბის
ხელოსნები და მუშებიც, რადგანაც ესენი არიან მეორე მაა-
რე რედაქტორ-გამომცემელ-მწერლებისა და რასაც ერთნი
სწერენ, იმას მეორენი ხორცს ასხვენ და საქვეყნოდ ასულ-
მეტყველებენ.

ამიტომ ჩვენც საჭიროდ მიგეხწინია, რათა ყოველ ჩვენს
სასტამბო და სამწერლო ხელოსნენ-მუშაქთ მოლვაშვილის ცნ-



ბანიც ავნუსხოთ, მომზურობი იქნება, ბეჭდავი თუ ჩემი კონფიდენციალური რამ ხელოსანი, ეს ჩემი თვის მრთია, რადგანც კუველა ამ მუშებს ჩემი ის ცხოვრების ასპარეზზედ და ნამეტურ სტამბის წინაშე საქმარისი შრომში მიუძღვისთ. სამწუხარო აქ მხოლოდ ის არის, რომ ჩემი ძველები არ მისდევდნენ ასეთ ცნობათა შესწავლის, ხელოსანთ შრომის დაფასებას, გაას შესახებ სულ არაფერი ცნობები დავვოროვეს, მაგ.: მესტამბე შიქაელზედ, რომანის ზუბალაშვილზედ და მრავალოცაც სხვებზედ. არა თუ ასეთ ძველებზედ, ჩერ არა ვიცით-რა თვ-თ უასლოეს დროის, **XIX** საუკუნის, რუსეთში ყოფილის ასომწურობის სვიმონ მესტამბე რაბიძის შესახებაც კი, რომელიც მუშაობდა იყალების სტამბაში და რომელმაც იმოიწყო კუველა ქართული სააკადემიო გამოცემანი. თოთქმის კუველა ქართული განსაკუიფრებელნი შრომანი. ამ უკანასკნელზედ ჩერ ვარტო შემდეგი ვიცით ბრისეს სიტყვით:

„სეიმონ მესტამბე ტაბიძე, ბეჭდაზედ იუთ მცდელია,
დაგბეჭდეთ წიგნი აქ ახლად, განახლდა ძველის ძველია“^{1-ი.}

ასევე არა ვიცით-რა 1820, 30 და 50 წლების ქართულ სტამბათ მომზურობთა და ბეჭდავთ ცნობებილგან. ასეთ საქმეთა და პირთა ცხოვრების ცნობანი ჩემი ში უკველეს დროდამ იწყება, მაგრამ სამწუხარისებრი დღეს თითქმის ქვეც უპნობია ჩენთვის, სრულიად მქრალი. ესლა ჩერ აქ შევეხებით ერთის ასეთის ვაროშელის ცნობათა განმარტვას და იმედია, რომ ეს ანუსხვა თავისებურს შინიშვნელობს იქნიებს ჩემი ბეჭდების ისტორიის ასპარეზზედ. ეს პირი, სახელდობრ არის მესტამბე ეჭვაიშვილი ივანეს ძე ხელაძე, რომელი თუდა თი წლის სასტამბო მოღვაწეობის იუბილე იქმნა გრადაციილ, ამ 1902 წლის ივნისის 29-ს. ამ კაცის ცხოვრება, ფეხის იდგმა, ახალგაზღვობა და დაბერება შეიღიროდ არის შეკვეთირებული ქართული სტამბის ილორძინებს საქმესთან და მის ისტორიასთან,



აომენის უახლოესი დროც 1860 წლების შემდეგ უშენდება მომართვებულის კუთხი.

ექვთიმე ივანეს ძე უახლოედ 1846 წ. მამა მისი ივანე იყო მღვდელი, იგი ს ცხოვრებდა გურიის სოფელ მაჩათს. 18 წლის ექვთიმე მიბარებულ იქმნა ჯუმა-თის მონასტერში, სადაც სწავლობდა ქართულ საეკლესიო წიგნების კოთხვის. 1859 წ. მონასტრის სკოლიდამ თხურგეთის ორ-კლასიან სასულიერო სასწავლებელში იქმნა გადაყვანილი. 1863 წ. გადაყვანილ იქმნა ქ. ჯუთაისის ოთხ-კლასიან სასწავლებელში. ამ სასწავლებელში ზედამხედველობა იმყოფებოდა იმ დროის ცნობილი და ლვაწლ-დადებული მოღვაწე გერასიმე კალანდაშვილი, რომელიც მოწაფებულ დიდით მოქმედებდა, მოზარდ ბავშვებს უხსნიდა სხვა და სხვა რთულ საგნებს მარტივად და ასეთ კითხვით გარეშე აცნობებდა თვით ახლად დაბეჭდილ ქართულ უზრუნალ-გაზროვნებსაც და შისთან ბეჭდვის ცნობასაც უმარტივდა, რასაც მოწაფე ექვთიმეზე მეტად დიდი ზეგავლენა ჰქონდა. ბეჭდვის სიყარული ექვთიმეს სკოლის სკამზედ ყოფნის დროს ჩანარგია. გერასიმე კალანდარაშვილი იქამდე აღმატებულის თვითსებისა ყოფილია, რომ იგი 1867 წ. სკოლის მოწაფეებს კარგად აცნობებდა თვით გაზრით თდროების ნომრებსაც, რომლის გამოცემაც 1866 წ. მარტის პირველიდგან იქმნა დაწყობილი. „დროების“ პირველ ნახვის უმილეს დროულობა ექვთიმე ხელიდე და გულში გაღვიძებია სტამბის ნახვა, გაცნობა, შესწავლა. 1866 წლის შეარცხვებს, 29 აგვისტოს მოწმობა აიღო და ქუთაისიდამ ტფილის გამოემგზავრო ფურგუნით, რათა სტამბიში შესულიყო მოწაფედ. მეცხრე დღეს ქუთაისიდამ ტფილის ჩიმოსულა კიდეც.

ამ დროს, ქ. ტფილისში სუდ ექვსი სტამბი იყო და მათ შორის ერთი „ცისკრის“ რედაქტორის ივანე კერესელიძისა. პირველი დღე ექვთიმე ხელიდემ ივანე კერესელიძეს მიჩართა და სოხოვა მოწაფედ მიღება. ივანე კერესელიძემ სიამოვნე-



ბით მიიღო და მაშინ თვეე მიუჩინა საქმე. 11 თებერვალი სტამბის ხელობა ისე შეისწავლა, რომ მას თავისუფლად შეეძლო დაეკავე ადგილი თვით იმ დროის ერთის სტამბის გამგის, მაცავირიანია, რომელსაც წელიწადში 500 შან. ჯამიავირი ჰქონდა. სტამბაში მეტად ხელმარჯვე ხელობის მცოდნეთ აღმოჩნდა, ქართული კითხვის კარგით მცოდნეთ, მუყაით ამომწყობლათ და მბეჭდავათაც. ასეთის სიყიჩილის და მუყაითობის გამო ექვთიმე ხელაძე ივანე კერქელიძეს დიდათ შეუყვარდა, ექვთიმე სტამბაში მას ყველა საქმეს უკეთებდა, აწყობდა, ზექდავდა და „ცისკრის“ ხელის მომწერთაც ურიგებდა, რადგანაც იყ. კერქელიძეს ხშირად შეუძლებლობის გამო თვით „ცისკრის“ დამტარებელიც არ ჰყავდა. ერთად-ერთს ერთგულ გულშემატკიცარ პირად ეს ირიცხებოდა.

ამ დროს „ცისკრის“ და მის დამატებას „გუთნის დედას“ საქმიანისი განსაკუდელი მიადგა კარს. იმ დროის ქართველ მკითხველ საზოგადოების ნაწილი ძრიელ მცირე რიცხვისაგან შესდგებოდა. გამოთ „დროების“ ვაშოცემაშ „ცისკრის“ საქმე შეუფერხა, ხელის-მომწერლები ისე მოაკლდა და, თვით „გუთნის დედაც“ ისე შეწუხდა, რომ თუ არ ასეთი პირობები სტამბაში ხელოსნის მხრით, უაშისოთ იგინი ქრისტ აღრევე მოისპონდნენ, ვერ შესძლებლნენ გამოცემის, რადგანაც შემოსავალი მარტო ბეჭდვასაც არ ჰყოფნიდა. ასეთ გარემოებაში მყოფ გამოცემათ და მთლად ივანე კერქელის საქმეებს უანგარით ენშარებოდა ექვთიმე ხელაძე. ივანე კერქელიძეც ისე აფასებდა ექვთიმეს შრომას და ისე პატივს სცენდა, რომ ამის გამო 1869 წ. მან ერთს თავის ნათესავს, საგინოვეის ქალზედ ჯვარიც დასწერა. ამ ქალის ხელში ექვთიმემ სამღვდელოთ მომზადება დაიწყო, მას ამზადებდა კუკიის ნიკოლოზის ეკულესის დეკანოზი იმნაძე. 1870 წ. ექვთიმეს მეუღლე გარდაუცვალა და რაკი ასეთ შემთხვევის შემდეგ მღვდლათ კურთხევა კანონით აღარ შეიძლებოდა,



ამიტომ მის ძებნას იგი საუდამოთ გამოეთხოვა და მართვიშვილი ვის ხელობის საქმეს დაადგა.

ამავე წელს, ეს შევიდა ცნობილ სტეფ. მელიქიშვილის და ამხანაგობის სტამბაში და განხეთ „დროების“ წყობა დაიწყო. იმ დროს „დროება“ ს. მესხის რედაქტორობით გამოდიოდა, მის ერთგულ თანამშრომლად იჩიცხებოდნენ ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, პ. უმიჯაშვილი და ზოგიც სხვანი, იმ დროს გამოჩენილი მწერლები. ყველა იმ პირებთან ექვთიმეს დაახლოებული განწყობილება ჰქონდა, მათგან სრული პატივისუმბა დაიმსახურა და ესც პატივისუმბით ემსახურებოდა. ამ დროს სტეფ. მელიქიშვილის სტამბაში დაიწყეს ბეჭდვა გაბრიელ ეპისკოპოზის „ქადაგებებისა“, რომელიც ექვთიმეს ამოაწყო და ამასთან სხვაც ბევრი ქართული წიგნები. ჩველა ამოსაწყობს ეს ისე იაფად იღებდა, რომ მის ფასის მოვალეობა და შედარება დლევანდელ ფასებთან ერთობ შორი-შორს იქნება, შედარება არ შეიძლება.

ვაშინდელი 13 მ. ამოსაწყობ-გასაკეთებელი დღეს 30 ა. ჯდება, ასე შეიცვალა გარემოება. იმავე წლის ბოლოს, გ. წერეთელმა იჯარით იღო დუბელირის სტამბა, მელიქიშვილის სტამბილი იქ გადიტანეს გაზეთი „დროება“, ახლად დაარსებული სისიოფლო გაზეთი და ამათ 1871 წ. „კრეგულიც“ მოჰყვა. ყველა იმ გამოცემებს და ეურნალ „მნათობსაც“ ექვ. ხელიძე აწყობდა, ყველას იგი უძლვებოდა წინა და თან ერთგულის გამგეობით სატამბო საქმესაც ან-ვითარებდა. სტამბის საქმესა და ამოწყობაში მონაწილეობას იღებდნენ და ეხმარებოდნენ ბ. ნ. ნიკოლაძე და პ. იზმალოვი, ამათ გარდა სტამბაში იარებოდნენ იმ დროის სომეხთ ცნობილ პირთავენი გ. სუნდუკიანცი, შეკერდოვი, აშხაკის რედაქტორი გრიქორ არწრუნი, ჩიმიშვიანი და სხვა ქართველნი, რომელიც შეკრთხებულის ულლით მოქმედებდნენ, მაშენ ქართულ-სომხური წიგნები ერთ სტამბაში იხე-კდებოდა.



ექ. ხელაძე 1871 წ. მეორე ცოლზედ იქნავთ აჭარის და შენის წერილი. მეჯვარედ ს. მესხი იყო. ამ ქალისაგან მიეცა შვილები, ექვთიმეს სიდე ჩეკნი ნიკიერი ბელეტრისტი ლაპიანი, რომელშიც არა ერთის მოთხოვბით მიიპყრო ჩეკნი მწერლობის ყურადღება.

თუმცა ექვთიმე ხელაძე „ცისკრის“ რედაქტორს გაშორდა და და სხვაგან მუშაობდა, მაგრამ მას იმდენად ახსოვდა ივ. კერქელიძის მიზგი, რომ მუდამ ენატრებოდა ის ერთად-ერთი ძველი ქართული ეურნაორი არ დახურულიყო, არ მოსპონსილიყო. ამ დროს ივანე კერქელიძეს „ცისკრის“ ხანეპიათ ძველი და შეძენილი პატარი სტამბა ძქონდა, მაგრამ სილარიბის გამო სტამბას ვერ უძღვებოდა, მეტი გზა არ იყო, სხვა ვინმე უნდა ენახა სტამბის გამგეთ. ივ. კერქელიძე და ექ. ხელაძე მალე შეთანხმდნენ და 1872 წ. ექვთ. ხელაძემ მთავრობას თხოვნა მისცა საკუთარი სტამბის გაბანის შესახებ. 24 ივნისს 1872 წ. გუბერნატორისგან წება-როვა აიღო. შალე გახსნა სტამბა ქ. ტფილისში, იარმუკზე, ერთ უბრალო თოაბში და ივ. კერქელიძის ერთი ძველი დაზვე (სტანკი) და სხვა სასტამბო იარაღიც გადიტანა ახალ სტამბაში და იქ მოათავსა.

შალე „ცისკრის“ აწყობაც დაწყეს. ამ სტამბის გაბანას იმ დროის ქართველობა მეტად სიამოვნების თვილით მიეცება, რადგანაც სტეფანე მელიქიშვილის სტამბა ქართულ საბეჭდ საქმეებს ვერ ისდიოდა და სხვა სტამბა კი არსად იყო. ექ. ხელაძის სტამბაში მუდმივათ იწყეს სიარული. ანტონ ფურცელაძემ, რომელმაც შემდევ დროს ამ სტამბაში გაშეოგუთნის დედის „გამოცემაც განახლა, დაარებოდა აგრეთვე პეტრე უმიქაშვილი, გ. წერეთელი და მრავალნიც სხვანი, იმ დროის ქართველთ მწიგნობარნი და ცნობილნი გვამნი. დრო ისეთი იყო, რომ ქართველნი სასტამბო საქმეებს იხსად ეწყობოდნენ და ამიტომ ყოველი საქმეც დიდათ უძნელდებოდათ, ხანდიხან თვით მწერლებიც კი მთელს ლამე-



ებსაც ატარებდნენ სტამბაში. ნამეტურ გაზეთ უფრთხოებისა და გამოცემის დროს, რაც პატივცემულია ნიკოლოზ ღოღობერიძემაც დაასაბუთა, რომ „დროების“ გამოცემის გამო ჩვენ კვირაში ერთს ღამეს სტამბაში ვთენებდითო. ცხადია, რომ რაც გაზეთის თანამშრომლები ათენებდნენ სტამბაზი ღამეს, ამომწყობნი და მშექვდავნიც იქ იქმნებოდნენ და ამათ უფრო მეტი კაპანი ექმნებოდათ გახატები.

თუმცა პატარა სტამბა იყო ექვთიმე ივანეს ძის ხელაძის მაგრამ საკუთარი სტამბის შეძენის მეობებით ექვთიმე ხელაძისათვის დალგა ახალი ხანა სასტამბო საქმის ასპარეზზედ მოქმედდებისა. როგორც ვსთვით და ეს სხვაგანაც გვითქვამს *), ექვთიმე ხელაძემ სტამბის საქმეებში თაქმარისი ენერგია გამოიჩინა. ეს ცოტაა, მან ეს არ იჭირა. მან სტამბას მიაჩინა ქართველთა შეალები, ორეგმ მინაზდე ქართველები ახლოსაც არ ეყარებოდნენ სასტამბო საქმეებს, ბაყლობას, კინ-ტოობას და მენახშირეობას მისდევდნენ და სტამბას კი ახ-ლოსაც არ ეყარებოდნენ. ამისთვის ექ. ხელაძემ დაიწყო გრ-რიცდემ გურული ბიქების ჩამოყვანა და შეგირდათ აყვანა სტამბაში. ხამი წლის განმავლობაში სტამბა ამან გურულის წერა-კითხვის მოდნე შეგირდებით გაავსო. მათ ერთგულით დაწყებინა ხელობის შესწავლა, მაგალითებრ, ასეთები არი-ან: ქუთაისის მესტამბე იოსებ ხელაძე, ივანე კილაძე (მე-სტამბე იქმნენ), ლუარსაბ ხელაძე, დომიციდე კილაძე, რომ-ლის 30 წლის ასოთა-ამოწყობა ქართულ წიგნთა გამომცემელ ამხანაგობაც იდლესასწაულა. ჩვენ აქ ყველა ხელოსნებს არ ვასახელებთ, მოვისხენეთ მხოლოდ ზოგიერთი უხუცესი პი-რები და ისინი, რომელთაც შემდეგ თავიც ისახელეს. აქ მო-თველილებში რამდენსამეს თბილისსა და იმერეთს სტამბებიც აქვთ დახსნილი და იგინი თავიანთ შეძლების დაგვარითაც მოქმედებენ, ქართულ საქმეებს ღროვის შესაფერით უძლვე-

*) „სტარა ქართულის სტამბისა“, გამოცემა 1900 წ.



ბიან, ზოგიერთს მთელის ოცის წლობით უმუშა კრიტიკული მომავალი თელს გაზეთებშედ, ეს ზოგ ალაგას დღესაც ისევეა, ყველა კრიტიკი, დიდრონი წიგნები მთლათ ამ პირებმან ამოაწყვეს და დაბეჭდეს, ყველა საქმეს ესნი უძლვებოდნენ და ამას გარდა სტამბის მოწაფეებსაც აჩრავლებდნენ. უნდა ითქვას, რომ ყველა იგინი კა ექვთიმე ხელაძის მოწაფეთ ითვლებოდნენ, ამისაგან პეტონდათ ხელობა შესწავლილი, იგინი ითვლებიან პირდაპირ ექ. ხელაძის მოწაფეთ.

უნდა მოგახსენოთ, რომ ოდესმე თუ ქართული სტამბის აღორძინების ისტორია დაიწერა, იქ ექვთიმე ხელაძე ისეთ-სავე საპატიო აღვილს დაიკავებს, როგორც მაგალითებრ მის დროის პატივცემული ქართველი კათოლიკე მესტამბე სტეფანე მილიქიშვილი, იოსებ შელიქიშვილი და სხვანი.

ექვთიმე ხელაძის სტამბის გახსნა, მისი მოღვაწეობა სტამბის ასპარეზშედ და მოქმედება აღსანიშნავია იმითაც, რომ ამ პირმა თავის პირველის დღიდგნევე სტამბის ხელობის შესწავლის და სტამბის გახსნისათან ერთად სახალხო წიგნების ბეჭდვის საქმესაც ჯეროვანი ყურადღება მიაქცია. მან სტამბის გახსნის უმაღლე დაიწყო ქართული სახალხო წიგნების ბსკურა მესტამბის გარეშე ქართულ წიგნთა გამომცემლის სახელიც დაიმკიდრა, მისგან იშავ თავითვე დაემდე ძრიელ ბევრი ქართული წიგნებიც გამოცემულია. ბევრი მისი გამოცემა ჩეკინი მწერლობის ასპარეზშედ საყოველთაოდ იქონიებს მნიშვნელობას. ოდესმე ქართული სიტყვიერების და მწერლობის ისტორიის დამწერლიც მოიხსენებს ექ. ხელაძეს, ვითარცა ქართულ მესტამბეობასთან ერთად ქართულ წიგნების გამომცემლათაც. ექ. ხელაძის გამომცემლობის შესახებ უნდა აღვნიშნოთ, რომ მან მეტად საჭირო დროს დაიწყო ქართული წიგნების ბეჭდვა, ისეთ დროს, როცა საქართველოში ქართველ შორის წიგნის ბეჭდვა კავანებათაც ის იყო. მთელი წლები ისე გადიოდა, რომ ქართულს ენაზე სულ პატარა წიგნაკიც არ იძებელებოდა. ისეთ გატემოებაში მოთავსე-



გულ ქართველთაოვის ექ. ხელაძის სტამბაშ ისტორიული ცენტრის
იქნია, რომ მან თვით ექ. ხელაძის მსგავსად სხვა ახალგაზ-
და ქართველებიც წახალისა წიგნების ბეჭდვის საქმეში, მან
ბევრს ქართველს შეაჩინა წიგნების ბეჭდვის საქმე, ბევრს გა-
უადვილა იგი და ბევრი ქართველის გული მორთო და შემო-
სა ქართული წიგნების გამოცემის სურვილით, მის გაძლიე-
რებით და ოლორძინებით.

წიგნების გამოცემის გარდა, ექ. ხელაძემ, საქართველოს
დაიასა და სოფლებშიც პირველად დაიწყო ქართული წიგ-
ნების ტარება. მაგალითებრ, თბილისიდამ მან პირველად წა-
ილო გურიაში ქართული წიგნები და დაუწყო ვაკელება,
თვით საერთო ბაზრობაზედაც მიღიოდა, თან წიგნები მიჰქონ-
და და ჰყიდდა, რაშიაც ჯეროვან დამარების აძლევლენენ ად-
გილობრივი ქართველი მოხელენიც, ყველა მოხელე ექ. ხე-
ლაძის საქმეს სიამოვნებით უმშერდა, მხარს აძლევდნენ, რომ
გურიაში პეტრე-პავლობას, ნავომზრობას და სხვა დღესასწაუ-
ლებშიაც წიგნები ეტარებინა, მისი წარმოება არ მოესპო.
ამ საქმემ გურიაში ნიადაგი იპოვნა და უეხი გაიმიგრა. შემ-
დეგ დროებში იქ ექ. ხელაძის გარდა სხვებიც აღონიშნენ
წიგნების შეცდავ-დამტაცებლ-გამუიდველ-გამავრცელებლებ-
ლით.

სატამბო საქმეების მართვით და მუშაյობით ისე წიგი-
და წინ, რომ ექ. ხელაძე 1879 წ. შეიძინა მწყრაფლ-მშექ-
დავი მანქანა. სტამბის ისე მოწყობაშ მას შესძინა დიდი საქ-
მიანობაც. აშის სტამბაში იქმნა მოკრებილი დასაბეჭდათ ყვე-
ლა ქართული გამოცემი, ერთი სიტყვით არ დარჩა რამე
ქართული გამოცემა, რომ იგი ხელაძის სტამბაში არ ყოფი-
ლიყოს დასტამბული. სტამბა საქმიანობით ხშირად ისე იყო
დატვირთული, რომ მშექდავი მანქანა დღე და ღამე მუშაობ-
და. ბევრს ქართულ წიგნს მინიჭებია ამ სტამბის საშუალე-
ბით ნათელი. 1875 წლამდე, ყველა საცეკვესო საბუთების,



ბლანკები და საცელებით ხუცური წიგნები რუსეთში მოჩანა და
ბოდა... ექვთიმე ხელმის მეცალინებით და ფასს დაკლა-
ბით ტფილისში იქმნა გადმოტანილი, რომელიც დღესაც მისს
სრაბაში იბეჭდება.

1896 წ. მაიერობის განვარგელებათ 8 თვით შეჩერე-
ბულ იქმნა ერთად-ერთი ქართული დღიური გაზეთი „ივე-
რიო“. ამ მიზანით ბევრი ქართველი შეაწება, მთელი ერი
უგაზეობდ დარჩა. ამ დროს ე. ი. 1896 წ. დამლუკაშვილ ექ-
ტელაძემ მთავრობას თხოვნა მისცა და დღიურ ქართულ გა-
ზეთის გამოცემის „წყაროს“, ნება-რთვა სთხოვა.

წელს, 1902, 24 ივნისს, მდენ საქმეთ შემდეგ, პ. ექვ-
თიმე ივანეს ძე ხელიძეს შეუსრულდა 30 წელიწილი მას შემ-
დეგ, რაც იგი ქართული ტრამის ასპარეზშედ საკუთარის
სრაბით იშოქმედა. როგორც ძველი, ისვევ დღეს ექ. ჩე-
ლაძის სრაბია დატვირთულია სხვა და სხვა ქართულის გამო-
ცემაშით და როგორც უწინ, ისვევ დღეს ამ სრაბიაში ბევ-
რი ვრცელი ქართული წეგნი გამოსულა და უეპველია კიდე-
ვაც გამოივა. ვალაც ვრაცხთ დღეს აღვნიშნოთ ამ სრაბის
30 წლის არსებობა და ამ ხნის განმავლობაში მასგან სარგე-
ბლობის მოტანაც ქართველთ წინაშე.

როგორც თავშიაც ესთეტიკით და ამას წინეთ ეს გაზეთ
„ცნობის ფურცელშიაც“ გამოსთქვეს, ჩეენშიაც უკიდ მოყი-
და ისეთი დრო და გარემოება, როცა ჩეენც უნდა პატივით
შევხედოთ ჩეენთ სასტაციო მუშაյთა და მათი შრომის თავა-
ზი და თანაგრძნობაც საქვეყნოთ ვალვიაროთ, რადგანაც ეს
ვალია შესმენილის და ზორს მხედლელის ერის.

ექვთიმე ივანეს ძე ხელიძე მოკლულ იქმნა 1905 წ.
იარმუკაზედ, შიგ სრაბის კარებში, გამოსვლის დროს, იმ
ების, როცა ყაზახებმა იარმუკა იცილეს და ზარბაზნების სრო-
ლით აქცევდნენ ყაველივეს. მიზეზი ამ უბედურების ის გა-
ხლდათ, რომ ამ დღეს, ამ სრაბის დიდი შენობის ქროი
აკაშეიდამ ერთ ბიჭს ყაზახებისთვის ბომბი ესროლა ამის სი-



შედილით მის სტამბასაც შოელო ბოლო, სტამბა ჯულიშვილია
იქმნა, დამწერი ცეცხლისა და ზერბაზნებისაგან. შემთხვევაშე
ბულის საქმენი შეტად უბედურად წიფილი და სახლობაც უმ-
წეოდ დაშთა. დარღისისგან შეილოც გაუბედურდა და მოკედა
და მის სტამბის ასპარეზზედ მოიპოვა ექვ. ხელმის სახსენე-
ზელიც.

მესტამბე გრიგოლ ვასილის ძე ჩარკვიანი

გრიგოლ ვასილის ძე ჩარკვიანის მოღვაწეობა ირ ნაი-
რია, ერთი ქართული წევნის მაღაზიის გახსნის წინაშე, ქარ-
თული წიგნების ბეჭდების და გამომცემლობის და შეორე სტამ-
ბის გახსნის და სტამბის წარმოებით. პირველ ნაწილს უფრო
ფართო ისტორია აქვს, რე ჩვენ ვრცლად გვაქვს ინუსული,
ამიტომ იქ შეორე მხარეს ამის მოღვაწეობისას, ანუ სტამბის
საქმიანობას მოკლედ ავნუსხავთ.

1878 წ. ავი თფილისში, ჩარკვიანმა და მე ქართული
წიგნის მაღაზია გავქსენით, ამ გარემოებაშ ქართული წიგნე-
ბის ვრცელების საქმეს ხელი შეუწყო. ქართული წიგნების
საქიროება მაღაზიაში ნათლად გამოსჩინდა. ამ გარემოებაშ
გრიგოლ ჩარკვიანის სტამბის გახსნაც აფიქტებინა და მან გახ-
სნა ვატარა სტამბა. ამ სტამბას შერე სხვა ამხანაგებიც მიე-
მარნენ, და სტამბა ცოტა გააღარითეს. 1882 წ. ეს სტამბა
უფრო გააღიდეს და მასთან ამხანაგებიც მიემარნენ ესენი
იყვნენ გრიგოლ ჩარკვიანი, არსენ კალანდაძე და ალექსანდ-
რე დავითი. სტამბა ამათ მოათავსეს ლორის-მელიქოვის ქუ-
ჩანედ, მესამედის სახლში.

აქ სტამბამ ირ წელს იარსება, შერე არსენ კალანდაძეს
და ალ. დარევის უსოფშოენება მოუხდათ, სტამბა დაიკრია,
ერთი წლის შემდეგ მორიგდნენ და სტამბა სამათ გაყვეს. ერ-
თი ნაწილი გრიგოლ ჩარკვიანის ერგო. ეს ნაწილი დროებით
უმოძრავოთ იყო 1889 წ. მოახლოვებისას გრიგოლ ჩარკვი-



ანშა სტამბის იარალს აზალი იარალიც შესძინა დაუჩქრეს სტამბის
შა გახსნა, სადაც მრავლად იმედებოდა ქართული წიგნები.

ამის სტამბაშ კარგა ხანს იარსება, ვინაიდგან მას საქმე-
ები კარგად იქნენდა. ეს სტამბა 1905 წლის კორიანტელისაც
შეესწრა, აქ იმედებოდა სხვა და სხვა ქართული წიგნები
და გაზეთებიც. ერთის გაზეთის ბეჭდების გამო გრიგოლ ჩარ-
კვიანი აღმინისტრატიულად დასჯილიც იქმნა და გადასახლე-
ბული თფილისიდამ, მერე გაანთვისუფლეს, ხოლო ამ სტამ-
ბას და მის პატრიონს კიდევ განუშეორდა ასეთიც პირობები
და სასჯელი, რაც სტამბაზედაც დიდათ მოქმედებდა. გრიგოლ
ჩარკვიანის ზარალიც დიდი მოხდიოდა. სახლობის პატრიო-
ნის მუდამ ასეთი ალიაქოთი მობეჭრდა და 1910 წლებში,
სტამბა გაყიდა, მყიდველმა ეს სტამბა გადაიტანა გორს, დღე-
საც იქ არსებობს ეს სტამბა.

გრიგოლ ვასილის ძე თუმცა სტამბის ხელოსანი არ არის, მაგრამ იგი მაინც სტამბას კარგად უძლვებოდა, სტამბის არ-
სებობას პირდაპირ ქართული დანიშნულება აქნენდა, დღე და
ღამ ამ სტამბაში სულ ქართული წიგნები იმედებოდა. ასე-
თის შრომით გრიგოლ ვასილის ძე ვალ გადახდილია, მისი
სტამბის არსებობას ყოველთვის ექვნება კარგი მოგონების
ისტორია, ეინაიდგან ავს აჯილდოებს გიგო ჩარკვიანის შრო-
მა სამშობლო მწერლობისადმი დიდი სიყვარული და ამაგი-
ყოველივე ასეთ ღირსებას ზედ ერთვის და ემატება იმ შრო-
მის და წვალების ცნობებიც, რაც კა გრ. ჩარკვიანმა ამ
სტამბის გამო აიტანა. მაინც ამ სტამბაში დაბეჭდილის წი-
გნები დღესაც ბეჭრი სხანს კიდევ ჩვენის მწერლობის ასპა-
რეზედ. სხვა რამ შრომის გიგო ჩარკვიანისას ჩვენ აქ არ
ვნუსხევთ, რადგანც იგი სხვაგან გვაქვს ანუსხელი.

არსენ ივანეს ძე კალანდაძე

არსენ კალანდაძე გურიული განლავსთ, პატარაობის დროს-



30, იგი თფილისში ჩამოიყენეს და კავკასიის მთავრული მარკა თებელის სტამბაში შეგირდათ მისცეს. აქ შეისწავლა მან სტამბის ხელოსნობა. თფილისში უონის დროს, იგი დაუახლოედ და ქართველ მწიგნობრობას და მათ შორის პ. უმიკაშვილსაც. ასეთ პირთა რჩევით არსენ კალანდაძემ ქართული ხა-ხალხო წიგნების ბეჭდვაც განიძრახა.

1873 წ. არსენმ და იგ. (ნერსესოვმა, ქართველ გრი-გორიანზა და ამავ სტამბის ხელოსნობა), ქართული ხახალხო შაურიანი. წიგნების გამოცემაც დაიწყეს. გამოსცეს ქალვა-ზიანი, ალექსიანი, არსენას ლექსი, მერე „მირიანი“, „ბარა-შიანი“, „დავროშიანი“ და 1875 წ. „ვეფხის ტყაოსნიც“. ამავ დროს, იგინი ქართული წიგნების გასაყიდათ, იარმუკა-ზედ, კვირაობით, სტოლს სდგამდნენ და ქართულ წიგნებს ჰყიდნენ, ესეც პირველი მაგალითი იყო, არამც თუ მარტოდ თფილისში, არამედ მთელ საქართველოში.

წიგნების გამოცემის საქმე კარგად წაუდიდათ, წვრილი წიგნები ბევრი იყოდებოდა, ამ დროს მათ შეუამხანავდათ ერ-თი გურული, ეპიფანე კალანდაძე, ვანითლებული და თავის დროის კვალიად კარგად მომზადებული. ამ ეპიფანეს თავოს-ნობით 1875 წ. ხიდის ყურჩედ, ქართული წიგნის მაღაზიაც გახსნეს, ესეც პირველი საქმე იყო. წიგნის მაღაზიამ ცოტა ხანს იარსება, ვინაიდგან რაღაც სოციალური ბრალდების ვამო დაკარილ იქმნა მცლაშია და არსენ კალანდაძეც დაპა-ტიმრებულ შეტეხში. ერთი წლის შემდეგ არსენა გაანთავი-სუფლეს, წიგნის მაღაზია კი აღარ გახსნა, წიგნების გამო-ცემა კი განაგრძო.

1880 წ. გრ. ჩარკვიანს შეუამხანაგდა და სტამბა გახს-ნეს, ამათ სტამბამ ცოტა ხანს იარსება, მერე გაიყვენ, არ-სენმ ცალკე გახსნა სტამბა, მაგრამ ესეც მაღა წაუდიდა ხე-ლილდამ, მერე არსენმ იმეცადინა და იღრუკ ყანჩაველის ამ-ხანაგობით გორში გადასახლდა და გორში სტამბა გახსნეს 1886 წ. ტეტიების ქვეყანაში ეს პირველი მაგალითი იყო.



გორში არსენი გამოიჩინა საქმიანისი ენერგია უფლებული მახლობლივ წიგნის მიღაზიაც გახსნა

სტამბის საქმე კარგიდ წიგიდა, აქ მაღრ სხვა და სხვა საქმეების ბეჭდვაც დაიწყეს. გორს ელიტა და პირველად აქ დაიძექდა ქართული წიგნი პეტრი ანსელმო მღებრიშვილის მიერ „მიბაძვა ქრისტესი“ თამა კეშფელის მიერ. მერე სხვა წიგნებიც გამოიცენ, ზოგს თვით არსენ კალანდაძეც ბეჭდავდა. არსენი აქ მეცადინეობდა თავის შეძლების და გვარად. ცხოვრებით და სასტამბო საქმითაც დაწინაურდა. შემდეგ გორში დაცულ შეილიანდა. გარდაიცვალა 1913 წ. გორში, დარჩა მას მეუღლე და შვილები, სტამბას და წიგნის მიღაზიას დღესაც მათი მეუღლე აწარმოებს.

მოკლედ უნდა ითქვას, რომ არსენ კალანდაძეს ქართული სტამბის და წიგნთა გამოსაცემ ასპარეზზედ კარგი პრობა მიუძლების.

კოწია ჩითანის ძე თავართქილაძე.

ოშურგეთის სტამბა კოწია ჩითანის ძე თავართქილაძე გახსნა 1887 წ. კოწია თავართქილაძე გურული გახლავსთ, დაიბადა 1860 წ. წინეთ იგი სხვა აღებ-მიცემის კაცი იყო, ხოლო აშ დროს, მას დიდათ უკავარდა ქართული წიგნების კითხვა, ამ გარემოებამ იგი დაახლოება ქართულ წიგნების მიღაზიების სავარს საქმეეთან, მერე აქედამ ქართულ სასტამბო საქმეებს! აც დაუახლოვდა. კოწია თავართქილაძის კრძო ცხოვრების აღწერის ჩენებ არ შეუდგებით, მარტოც ამ კაცის სამწიგნობრო, სამწერლო და სასტამბო საქმეებს აღნუბსავთ, ესეც საქმიანი იქმნება ამ დაუცხრომშელი მოღაწე კაცის ცხოვრების და საქმიანობის დასაცნობათ.

პირველად, როცა კოწიამ თფილისში ოშურგეთში სტამბის გახსნის ცნობა მიამბო, მე გაფკირდი, კამეცინა, ტყუილი მეგონა, სამაზრო ქალაქში სტამბის გახსნა. ბევრის წვალების და თათბირის შემდეგ ამ პირზე სტამბის გახსნის ნებართვაც აიღო, მასთან თფილისში იყიდა საბეჭდი სტანკი,



ასოები, ასევე სხვა საჭირო კუფელივე იარაღერლომანისტებისგან
და ქსენი წაიღო თაურეგის, ხელოსნები ამან თაურეგიში
თუთილისადამ წაიყვანა, სხვათა შორის ამასთან იყო მაწყობი
დიონიდე კილაძე, რომელმაც მოუწყო სტამბა. ამ სტამბის
ნახვა და გაცნობა მომიხდა 1900 წ. ვიყვა თაურეგის, იქ
გაფიცან ამ სტამბის ის ამბები, თუ სტამბის გახსნას გურუ-
ლები როგორ მიეგებნენ. ყველას გახარებია, თაურეგისის
მცხოვრებნი სიხარულით აღსილან. სხვათა შორის სტამბის
გახსნის დღეს, მისულა ყველასაგან პატივუმული თავ. გრი-
გოლ დავითის ძე გურიელი, ერთი უწარჩინებულები პირი
იმ დროის გურიის ერში და ქართულ საზოგადოებისაგანაც
კარგიდ ცნობილი და უთქვამს სტამბაში:

— ამას რას ეხედავ, გურიაში. თაურეგიში, წიგნის სა-
ბეჭდავი სტამბა. ოს, თქვენს მარჯვენას კი ვენაწვალე, თქვენ-
სას, რომ ეს მოგიხსერხებიათ და მეც მოვესწარ ამას, ამ სა-
სიხარულო დიდ საჭმეს.

პატივუმულის გრიგოლ გურიელის მადლობას და სიტ-
ყვებს დიდათ გაუხარებია კოშია. გენერალი დანმიარებელისაც
დაპირებია. უთქვამს, რომ ყოველთვის თქვენს ერთგულით
მიგულეთო. მოხუცი ამ სტამბით ისე აღფრთოვასდა თურმე,
რომ მასზედ უკეთესი აღარა შეიძლებოდა რა მისგან, შემდეგ
დროს, ამ პირის საფასით ქართული წიგნებიც კი გამოიცა.
ესეც საზაგალითო საქმე იყო და კოშიას სულისა და გულის
გასამხნევებელად. კეშმარიტად, რომ ეს ასეც უნდა ყოფი-
ლიყოს და მისთვის სისიხარულო მიეგებდა მარტო გურულებს
კა არა, მთელ ქართველობას უნდა ეთქვა. უნდა ეთქვათ მი-
ტომ, რადგანაც ამ კაცის განძრახვაში კეთილი საქმის და
ქართველ ერისადმი სიყვარულის მეტი სხვა არა გმოისკრი-
ტებოდა რა. ამას შემდეგიც დაამტკიცებს.

სტამბის საქმიანობის დაწინაურებას კოშია ისე მუკითად
მიევება, მან ეს საქმე ისეთ დიდ საქმეთ მიმარინია, რაისა გა-
მო სისტამბო მუშაკობას, ანუ საბეჭდავს ასოებზედ მურის



წასმით მუშაკობის თვისი მოხუცი დედაც შეაჩენა, ამასთან გარეთ და ძეგი და შემდეგ თვისი მეუღლები. ყველა ქსენი სტამბის მუშაკებათ აქცია. მისი პატიოსანი მოხუცი დედა სტამბაში მუშაკობდა და ვალოკებით საბეჭდებს ასოებს მურს უსომდა. ასევე ძეგი იყვნენ, ყველა მათ შეისწავლეს როგორც ამოწყობა, ისევე ბეჭდვა და კაზვა, ყველა იგინი თავის დროს გახდნენ სტამბის უერთვულესი მუშაკნი, უერთვულეს მოამაგენი ქართულის სტამბის, ქართული წიგნების ბეჭდვის და სხვაც ბეჭრის ასეთების, რაც მათვის ერთობ მძიმე უნდა ყოფილიყოს და აუტანელი. ამიტომაც მოხდა რომ ეს მარად სახსოვარ პირნი ასეთ წმინდა საქმის სამსახურის გზაზედაც დაიხოცნენ. მოხუც დედას სამუშავო საქმე ხელიდამ არ გაუგდია თვის სიკვდილის დღემდის, ასევე კოწიას ძეგბს, ყველა ქსენი ამ სტამბის და ქართული წიგნების სამსახურის გზაზედ დაიხოცნენ. ყველა ამით სტამბისაგან დაჯაბნილებს ამოუციდათ პირში სული. ასეთი არის ისტორია ამ პირთა შრომის და მოღვაწეობის, ასეთი არის ბედი და გარემოებაც მოხუცებაში შესულის კოწიასი. თვის შიგრ საყვარლათ გამხდარ ქართული სტამბის და წიგნის გამო დაკარგი ყოველის ფერი, ქონება, ძეგბი, დედა და ბოლოს იქამდის შიგიდა მისი საქმე, რომ რედაქტორობის და წიგნების ბეჭდვის გამო ციხეშიაც ჩავარდა.

ყოველივე ამიებთან, ასეთ შრომი და ვივაგლახთან, მაინც კოწიას გული არ წიხდენია, იგი მაინც დღე და ღამ წიგნების ბეჭდვით შრომობდა, ბეჭდის გარეშე, მას ეს წიგნები ზურგითაც დაკვირდა, დღეს ერთ ქალაქში იყო, ხვალ მეორეში, ზედ მესამეს, ლამე მგზავრობდა და მასთან ყოველ გადასატან წიგნების ტვირთს თვით ზიდავდა, ამის ასეთ შრომის ისეთი დაუფასებელი მნიშვნელობა აქვს. რომ მასზედ ვევძა წიგნი დაიწერდა და არა ეს პატარა წერილი, მაგრამ რას ვიზამთ, დროი ისეთი გახლავსთ, რომ აქ ესეც უნდა ვიკმართ, იქმნება შემდეგ სხვებმა უკედ ანუსაონ. ხოლო ის



კი ითქმის, რომ ყველა ასეთ ფურანელ შრომის, სიაროვნობის გადაცემის გარეშე მნიშვნელოვანი რეიტორის ზიდვის და სხვებსაც. ბერძნის ასეთებს არ ვიცი ვინ აიტანს, ვინ იკისრებს, თუ არ თავის პრეცენტისა და ერთს სიყვარულით გამსჭვალული კაცი, თუ არ უანგარო მუშავე, ნამდვილი მუშავი და სხვაც ასეთნი. ნუ დავიწყებთ მმასთან იმასაც, რომ ასეთ პირს თან სდევს საყოველთაოდ გაკირება, სილარიბე, წიგნის გამოცემის უსახსრობა, ვალები და ხშირად უსაჭიროები პური, ანუ საღილიც არა აქვს კი. კათ გულისა და სულის კაცი უნდა იყოს რომ ყოველივე ასეთ გარემოებას ზურგი არ მოუხაროს და არ წახდეს, სასოდეა არ დავარგოს.

ისიც რა გვაჩ უმაღლო შრომის ასპარეზზედ, ისიც რა და რა პირობებში, რა უმაღლო, დაუმსახურებელ შრომაში, ოდესაც გამომცემლის შრომა არის უნაყოფო. ბერძოვს წიგნებს, იგი ამშევნებს სხვის ნაწერებს, ბერძოვს სხვების თხუზულებებს, ამაზედ იკარგება გამომცემლის შრომა, ამაზედ იხილება მისი ძალ-ლონე, ენერგია, მასთან შეძლება, სხვისი ნაშრომი კვეყნიერდება, დამწერს ეძლევა პატივი, სახელოვნება და ყოველივე ამაგებთან გამომცემლის შრომა ჩაღის ფასათაც არა სჩანს, იგი დაკარგული შრომა არის გამომცემლისათვის, მას არავინ უმაღლის, არავინ რად აფასებს.

დაფასების გარდა ხშირად მტრობასაც აძლევენ, ჰელვეტ უსამართოოდ, სწამებენ ჩარჩობას და ვინ რცის რას არა, მაგრამ ეს კიდევ არაფერი, საქმე და ვაები ის გახლიავსთ, როცა გამომცემელს რომელიმე სხვისი ნაწერების გამოცემის გამო ვალები ედება, გამოცემაში ზარალობს, ის ეს არის ციცქალი და უბედურება, თოვებმ სხვას კიდევ როგორც იქმნება კაცი გაუძლებს, აიტანს. მობძანდით და ასეთ გარემოებაზი მყოფი მწიგნობარი კაცი და გამომცემელი გაამტკუნეთ რამეში. რასაც ჩვენ აქ ვლაპარაკობთ, ეს მარტოლ კოწია ჩითანის ძეს ეხება და მას ჩატავს, ხოლო ასეთ პირობებში



სხვანც თრიან, სხვა გამომცემლებიც განიცდიან შეწყვიტისას ქართული მწერლობის მხედრი გახლავსთ.

ყოველიც ასეთ უბედურობასა და ხელ შეუწყობლობას და გაუტანლობასთან, კოწიამ მაინც გული არ გაიტება და ოსურგეთს გარდა სტამბა გახსნა სენაქში, სადაც მან ქართული წიგნებიც კი მეტად, ამას გარდა ღდგილობრივ შეგრელებსაც შეაჩინა სისტამბო საქმეები, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ცხოვრებაში. სენაქს გარდა უკანასკნელი იგი თავის სტამბით ბათუმს გადასახლდა, სადაც იგი ქართულ წიგნებსაც ბეჭდავდა. დღეს ამის სტამბა თფილისში არსებობს, სახელდობრ „ნადგელა“ და უნდა ესთქვათ, რომ დღეს კოწია თავის მეულლით ათასნაირ ხელ მოკლეობას განიცდის, ზშირად უკიდურესადაც უჭირს, მაგრამ მაინც თავისაგან არჩეულ სამწერლო გზას არ სტოვებს, ინახებს სტამბას და მასთან ვე ბეჭდავს ქართულ წიგნებს, უკეთა ქართულს გამოცხამის აღვენებს თვალთ ყურს, ყველაფერს პატივს სცემს და ჰუარელობას ისე, როგორც მის ხელმოკლეობას შემფერის. ეს კაცი მოელის თავის ძალლონით, შეძლებით და სიცოცხლით მარტოდ საქართველოს, ქართველ ერს და მის მწერლობის დაწინაურების ნატერას ეკუთვნის. ეს ნამდვილია, ამის ღირსებებს კოწიას ვერავინ წაართმევს.

ამიტომაც კოწია თავართებილი დაუცხრომელი მუშაკია ჩვენში: იგი ბეჭდავდა სხვა და სხვა წვრილ სახალხო წიგებს, მათან მოწინავე მწერლებთა ნაწერებს, ზოგი მის გამოცხანი დაკავებულებიც იქმნა, ხოლო იგი ვერც ამ გარემოებამ დასცა სულით, იგი, როგორც წინედა, იგი დღესაც იმავე ჩალისით არის ხადსე, ისევე დასტრიალებს გარს ქართულ წიგნების გამოცხანის საქმეებს და ამავ დროს, თავის სტამბის საქმეებსაც აწარმოებს, რომლის მართვა გაგეობაში მას თვისი მეულლე თამარიც ეხმარება. დღეს კოწია 54 წლის კეცია და იმედი არის, რომ იგი დღეს შემდევაც, ერთგულად თავისებურის სამსახურის გაწევით დაურჩება ქართულ მწერლობას,



ქართველი ერის საქმეებს და სამსახურს. რაც შეეხება კალენ-
დურების ბეჭდვას, ნამეტურ კრდლის კალენდრის გამოცემის.
შრომას, მითიც ხომ მას მოუძღვის დაუფასებელი სასსახუ-
რი. დიდათ ხაზწუხარო კი არის ის გარემოება, რომ ასეთ
პირი განცილის დიდს ხელმოკლეობას და უსახსრობის წიგ-
ნების გამოცემის საქმეში. სტამბის ტვირთის ზიდვაც ხომ
უსახსრობის და უთანხობის წყალობით ყოველთვის ვაება
და გაჭირება აღდა კარს. აი ასეთი პირობებით გახლავს კო-
შია თავისორთქილაბის მოდვაწეობა გარე მოცული. მისი შრო-
მა და ამაგრ ქართულ წიგნთა გამომცემლობის ასპარეზზედ
დაუფასებელია და სამაგალითო, ხოლო მიხევის კი მეტად
მწარე და უპირული.

დაუცხრომელმა შრომის და ქართველი ერის მოყვარე-
ობამ, კოწია თავისორთქილაბე, ერთ საფეხურს, ოზურგეთის
სტამბის ასპარეზზედ არ გააჩერა. მან კარგად იცოდა ის გა-
რემოებაც, რომ მათ მოძმე მეზობელ მეგრელთა ძირეულ სამ-
შობლო ენის საქმეს რაღაც ორმო ეთხრებოდა, ქართული
ენის დამხობას, ზოგიერთ ყალბ პედაგოგები მახვილით მის-
დევნენ, დღითი დღე ასე მოროტნი სამზადისის თანამდ-
ხრებისაც იძენდნენ. ექ ამათ წინააღმდეგ ბრძოლა იყო სა-
კირო, მაგრამ როგორ, სიტუაცით და კომათით კი არა, არამედ
მოროტების წინააღმდეგ პრაქტიკულის, გონივრულის საქმია-
ნობით. მიტომ კოწიომ განიძრახა თავის შრომის სასტატო
საქმეთა შეუაგულს სამეცნიელოს ქალაქეს სენაკში გვდატანა. ა-
ქ გახსნა წიგნის მიღიანი და სტამბა რამაც იმ დროს იქო-
ნია მეტად დიდი ისტორიული მნიშვნელობა, ამ საქმის ხილ-
უმლოება მაშინ არავინ იცოდა, იცოდა იაკ. გოგებაშვილ-
მა და ორიოდებულ სხვებმა. ექ სტამბის გახსნის მიზეზათ ზო-
გი კოწიის ჩარჩობას ამბობდა, ზოგი ფულის მოგებას, ზოგი
კი იცის რაა არა, მაგრამ საქმე კი ასე არ იყო. საგანი სხვა
გახლდათ. ეს რომ ცხადია, მას ასაბუთებს შემდეგი გარე-
მება.



თუმცა კოწია თავისრთქილაძემ ოზურგეთშია ცისტატიურა
გაბ'ნის დღიდამეე დაიწყო წიგნების ბეჭდვა, ხოლო სენაკის
სტამბაში გამოცემანი კი ერთი ათად განავრცელა, ვინაზად-
გან სენაკში სტამბის განსნის საქმეს სხვა დღიდი საგანი ედო
საჩიულად ამიტომაც ისე მრავლად დაიწყო აქ წიგნების
ბეჭდვა, რომ საბეჭდი მან ქანა დღე და ღამ მუშავობ-
და. ამ გარემოებამ ადგილობრივ მეგრელებს კარგი ზარი
დაურევა და სტამბაში მათ არამც თუ მოსვლა დაი-
წყეს, არამედ ქართული წიგნების გამოცემასაც შეუდგნენ,
ზოგიერთ მეგრელებმა თავისი ნაწერებაც გამოსუს, რაც იმ
დროს დიდი საქმე იყო იმ პირთა წინააღმდეგ, რომელიც
ქართული ენის დამსახურის ნატრობდნენ. ამის გარდა მეგრე-
ლებში განიაღდა საქორწილო და მიცვალებულთა და სხვაც
ასეთ მოსიწვევა ბარათების ბეჭდვა.

ყველა ესეთი საქმენი კი ხელს უწყობდა ქართულის
ენის საქმეს. გატაცებულმა კოწიამ სენაკის სტამბის საქ-
მე ისე მოაწყო, რომ აქ წიგნების გამოცემა დაიწყეს თვით
სხვა და სხვა ქვეყნებიდამაც, მეც კი გამოვეცი სენაკის
სტამბაში რამდენიმე ნაირი ქართული წიგნები. ასევე ბე-
ჭდეს სხვა გამომცემლებმაც. ასეთის საქმით, ანუ სენაკ-
ში ქართული წიგნების ბეჭდების დაწყებით კოწია თავისრ-
თქილაძემ, დიდი სამსახური გაუწია ქართული ენის საქმეს,
ქართულ წიგნების გაფრცელებას. ესეთი აღორძინება იყო
პირდაპირი წინააღმდეგი ძალა, თითქმის მები იმ პირე-
ბის, რომელიც ამპობდნენ, რომ ქართული ენა მეგრელი
არ არის; მეგრელები ქართველები არ არიანთ. ამის წი-
ნააღმდეგი ძალა მეგრელებში სწორედ თავის ნებით მი-
დიოდა წინ, რადგანაც იგი ბუნებრივი იყო და მეგრელებ-
მა უფრო უკეთ იცოდნენ ის ისტორიული კეშმარიტებაც
თუ იგინი ვინ იყვნენ, რა ტომის და რა ენის, ამითში უფრო
კეშმარიტებით იყვნენ, აღსილნი და ესენი უფრო უკეთესად
იძიებდნენ მეგრელ-ქართული ენის ურთიერთ ნათესავობას,



ვინემც ყალბ მახინჯ პედაგოგ-მასწავლებელნი, ურალტერიუმის
მშეც უკიდ დაბნელდა. ყოველივე ამ ქეშჩირიც საქმიანობას
და მამულის შეილურს სამსახურს დიდს ქომიგობას უწევდა
სენაკში ქართული წიგნების ბეჭდვის დასაწყისი და წიგნების
ვრცელება. ამით კოწია თავართქილაძეს მიუძღვის სახხოვარი
შრომა და ამაგი.

კოწია თავართქილაძე, თავის შექლების და გვარად იყო
ყოველთვის მოქალაქურის მიმართულების. იგი ყოველთვის
სკრილობდა, რომ ისეთი წიგნები ებეჭდა, რომელნიც ქარ-
თულებში მოქალაქურ განვითარებას და ქართული ერის
იდეიურად მომზადებას ხელს შეუწყობდა. ეს გარემოება კო-
წიას შესახებ ჩვენგან გაზეცადებული არავის ეგონოს. იგი
ქეშმარიტება გახლავსთ და ამასვე ასაბუთებს შემდეგი საქ-
მენი.

კოწია თავართქილაძემ გამოსცა „მეცნიერებისათვის წი-
მებულნია“ ტისანდიესი, თარგმანი. გამოსცა ეს. ნინოშვილის
ნაწერები რავდენჯერმე, ნ. ერთდანიას ნაწერები შეკრიბა
და ცალკე ტომებად დაბეჭდა, რასაც მოანდომა დიდი დრო
და შრომა, დაბეჭდა „ანტიური ქვეყანა“ და ბერიც სხვა
ასეთი წიგნები, რომელთაც ქართულ მწიგნობრობის ასპა-
რეზზედ კარგი აღაგი დაიკავეს. ასეთი სამსახური კოწია თა-
ვართქილაძისაგან ჩვენ დიდ საქმეთ მიგვაჩნია და თითქმის
სამიგალითოთაც, ვინაიდგან ასეთ წიგნების ბეჭდვის დროსაც
მას მადლიერი ირავინა ჰყავდა და მადლიერებს გარდა მტერი
უფრო ბერი.

სიო ჩითანის ძე თავართქილაძე

ჩვენ ვსთკვით კოწიას აღწერაში, რომ მაელი კოწიას
საოჯახო ძალა ქართული სტამბას შეელია. ეს ნამდვილი
გახლავსთ და მართალი, ამას ცხადათ ასაბუთებს ეს მაგალი იე-
ბიც. კოწიამ თავის სტამბაში აღზარდა თავას შები სიო და



ასლანი. სიო ისე გამოწურთნა სტამბის ხელოსნობაშეც უზუდი მან ამოწყობა უ შეისწავლა, და ბექდვაც. ერთსა პატარა ასლანი ეს ახალგაზრდა ყმაწვილი კაცი ორივეს აკეთებდა სტამბიში.

ამ გარემოებამ გააბედვინა კოწიას სენაკში სტამბის ვახსნის საქმე. ამ სტამბაში მან სიო ჩააბა, სტამბას წიგნის მაღაზიაც გაუხსნა, ყოველივე ესენი სიოს დააწვა კისერზედ ახალგაზრდა სიო სენაკის სტამბას ჩაება დიღის ხალისით და სიყვარულით, იგი გამხნევებულ იქმნა იმ გარემოებითაც, რომ აქ მეგრელებმა პირველად ნახეს სტამბა და ქართული ახორბის ბეჭდევა, რასაც იგინი დიღი პატივსაც სცემდნენ.

სიოშ სტამბას ჩინებულათ დაუწყო მართვა და გამგეობა, დროით ისე პოაწყო სტამბის საქმე, რომ მაღალ მეგრელებმაც დაიწყეს აქ საქორწილო ბარიათების ბეჭდი, ამას მოჰყვა ქართული წიგნების გამოცემა, რასაც მეგრელები სიამონებით უშზერდნენ და წიგნების ბეჭდვისაც უჩვეოდნენ. ეს კიდევ გახლდათ დიღი საწინააღმდეგო ძალა იმ პირობების, რომლის წარმომადგენელიც გახლდათ აშორდით და ის მცნება, რომ მეგრელები ქართველები არ არიან, მეგრული ენა და ანბანი სხვა არის და ქართული სხვით. სენაკის სტამბაში და სიოს ქართულმა მოქმედებამ ამ ყალბ ცნობას ძირი გამოუხდარა და მები დასცა თავში.

სიოს მოქმედება სენაკში იყო საქმე, საქმის კეთება და არა ლაპარაკი, ქადაგება და თუნდ წერა. იგი საქმეს აკეთებდა და და ეს საქმეც ებრძოდა ბოროტებას, ამით იგი ისე იყო მოწყობილი, რომ სტამბაში დღე და ღამეც არ ეძინა და მუშავობდა. ეს მე ჩემს თეალით ვნახე იმ დროს, როცა მეც დაებეჭდე რამდენიმე წიგნი სენაკში. სიო სტამბის მუშავობაში ღამესაც კი ათენებდა. მას ერთობ დიღი ნატერა აქენდა მის, რომ ამ შუაგულ სამეგრელოს ქალაქის სტამბაში, რაც შეიძლება ქართული წიგნები მრავლად ებეჭდათ. ამიტომაც ამით სენაკში უფრო ბევრი ქართული წიგნები გამოსცეს ვიდ-



რე ოზურგეთში, თუმცა ოზურგეთს უფრო წინედ უჯრებულებები სტამბა, აქაც კი მუწვევობდა სიო ენერგიულიად. პირველი მარტი 1890 წ.

სენაკში ჩემის ყოფნის დროს 1890 წ. სიომ ასეთი სიტყვა მითხრა: აქ, სენაკში, რაც შეიძლება მრავლად უნდა ვძევდოთ წიგნები და მით შევიწიოთ მეგრელებებიც ქართული წიგნების ბეჭდვას და კითხვასაც. ეს თუ მოხდება, მაშინ მეგრელების მოციქულების საქმე თავის თავად დაიფუშება, რიცნი გელარაფერს გააწყობენ. აშარლია ვერას გააკეთებს. ამის ნიზანიც უკვე სჩანს.

ასეთი შეხედულების იყო ეს უმარტილი კაცი და იგი მისთვის თავდადებითაც პრომობდა. სამწუხაროდ, მისმა ბუნებამ დაუსრულებელი პრომა ვერ ითვანა, სტამბის მუშაკობისავან დასწეულდა და 1902 წ. სიხუმის სანატორიიში გარდაიცვალა 26 წლის. ამის სიკვდილით დაიფუშა ბევრი რამ ქართული ენის სახარებლით საქმენი სენაკში. კოწიასაც სიოს სიკვდილით წელი მოსწყდა.

მეორე ასეთივე უბედურება.

როგორც ოზურგეთს, ისევე სენაკში საკირო იყო მკაზაფიც. ეს კი იქ არ ჰყავანდათ და წიგნების დაკაზმისთვის ყოფილთვის წვალებაში იყვნენ. კოწია ისურვა ამის შემთხვევა, ამან თვილისში ჩამოიყავანა თავისი მესამე ძმა ასლანი, შავირდათ მისცა ერთ გამოჩენილს მკაზმაქს, ზ. ცომიას, რომელიც იმ დროს ეს მკაზმაცი განთქმული იყო მთელს თვილისში თავის კარგის ხელოსნობით. ასლანმა ასეთ მცოდნების ტარების ქარხანაში შეისწავლა ხელოსნობა და მერე თავის ძმის კოწიას სტამბაში წავიდა სამუშაოდ. როგორც სიო, ისევე ეს ასლანიც დაუცხრაშელად მუშაკობდა უკველთვის და სტამბის გარშემო ხილსს რთავდა დაკაზმულის წიგნებით.

სიოს სიკვდილმა ასლანშედ ერთობ ცუდი შედეგი იქნია, ვინონდგან იგინი თანამდებობის იყვნენ და კარგი თვი-



სების ძმებიც. სამწუხაროდ წლის თავზედ, ანგლისტები 1903 წ. ასლანიც გარდაიცვალა 22 წლის. ამ უბედურება-მაც ერთობ დიდი ზე გაელენა იქნია კოწიას საქმეებზედ, ვინაიდგან მას მოსწყდა ჯერ მარჯვენა ხელი და მერე მარც-ხენა. სამწუხაროდ, მართლაც, ამათ სიკვდილის შემდეგ კო-წიას სტამბის საქმენიც ერთობ შეფერხდნენ და ცუდის პირო-ბებით მოართვნენ. ასეთ მსხვერპლის შეწირვა იყო საზოგადო ხასიათის მექონი და ორ კურძო ქართველთა ცხოვრებაში.

კოლია თავართქილაბის სტამბა ბათუმს

ბათუმს სტამბების გახსნის საქმე კარგად წარვიდა, აქ პირველ მესტამბე იყო სტეფან მელიქიშვილი, მერე ალექსან-დრე მახარაძე, ამის სტამბა შესამჩნევი იყო მით, რომ ამ სტამბაში, ქართველმა სამხედრო პირზა, თავ. ვაჩინაძემ, ბა-თუმში რუსული გაზეობის გამოცემა დაიწყო, რაც პირვე-ლი მაგალითი იყო ბათუმში. ამათ შემდეგ ბათუმში გაჩნდა კოწია თავართქილაბე, ვის სტამბაშიც პირველად დაიბეჭდა ქართული წიგნი, ბათუმის ეს სამაგალითო მოვლენა წერნ მაშინათვე აენუსხეთ იმავ დროის გაზ. „კვალში“.

ამათ შემდეგ, ბათუმში სტამბები კარგად მრავლობს, მე-სტამბენი არიან როგორც ქართველები, ისევე უცხო ტომი-სანი. სხვათა შორის, ბათუმში არსებობს დღეს ერთი სამაგა-ლითო კაცის სტამბა, ეს გახლევს კ. თავართქილაბე.

კოწია თავართქილაბის მოღვაწეობას სტამბის ასპარეზზედ, მე კარგად არ ვიცნობ, ხოლო იგი სხვებზე ლირსეულათ მაცნობეს და ბევრი რამ სინტერესო ამბები გადმომცეს, ეს მეც მომყავს აქ, ვინაიდგან იგი ეხება ქართული წიგნების გამოცემის ხელის შე-წყობის საქმეს. ერთმა გამომცემელმა მიამო, რომ იმ დროს, როცა ბათუმის სხვა სტამბებში კაც ახრჩობენ დასაბეჭდის გადა-სადღისო. მე კი ესა და ეს ქართული წიგნი თავართქილაბე ნისია დამიბეჭდა და ფულიც იმ დრომდე მაღროვი და ორ



შემაწუხა, ვიღრე წიგნებს გავყიდული, აზალში ანატექშმალუმაშეა
დუხდითო. შეორე გამომცემელმა მიაშპო. მაგ გამომცემლო-
ბით თავისი კილაძემ დამთვეუნა ფეხზეო. სამი წიგნი დამიპექ-
და ნისითათ და ამას გარდა, ერთის ვრცელის ტომის წიგ-
ნის ქალალიც თვით გამოშიწერა და ისიც კი მანისიავათ.
ასეთი საქმით მე შევიძელ იმ ვრცელი ტომის გამოცემა, თო-
რემ მე მას ვერა დროს ვერ დავშეძლავდი.

სხვებმაც სოქვეს ასეთი კეთილი საქმენი ამ პარის და
თან შეაქვეს მისი საქციელი ქართული წიგნების ბეჭდვის წი-
ნაშე. ასეთ საქმეებს ეს მესტამბე თურმე ჩშირად ახერხებს
და ამით ბეჭდოს ლარიბ გამომცემელს აძლევს სახსარს გამომ-
ცემლობისას. ეს უშესელია მართალი იქნება, ვინაიდგან რაც
ერთმა სოქვა, ის მეორემ დაასაბუთა, მესამემ და სხვებმაც.
ამას გარდა საქმეებს თურმე ზოგიერთს იაფ ფასითაც იღებს
თურმე და არა ძვირათ სძვა მესამეებიერთ.

ამიტომ წევნც ამ მესტამბეს უწოდებო სამაგალითო მე-
სტამბეთ და მისაბიძათ სხვათაგან. ასეთ მესტამბეთა საქციელი
ქართულ მწიგნობრიბას ფეხზედ დააყენებს, წინააღმდეგ შე-
მოხვევაში, ჩარჩ მესტამბეთაგან ყველაფუქს სული ამოხეცოე-
ბა. ამ მესტამბეს ჩვენ ვნუსხსავთ სამაგალითოთ და საქმემან
მისმან შეაქოს თვით იგი და მისი მამულის შეილობა და ქარ-
თული მწიგნობრაბის სიყვარულის პატივის ცემა.

მიხეილ სპირიდონის მე გაჩეჩილაძე

1890 წ. ყვირილის ნოსტალურ სკოლაში სწავლა დაამ-
თავრეს რამდენმამე ქართველ მოწაფეებმა და მათ შოის მის.
სპირილონის ძე გაჩეჩილაძემ, ალექსანდრე არაპიძემ, ივანე
არდაშვილმა, ილია მალაკელიძემ და ტრიფონ ნიორიძემ.
ყვალა ამთ სკოლის სკამხელვე განლეიძებიათ გონება, თვა-
ლი გაუხილებით და მწიგნობრიბის კითხვას აც შესჩეროდ-



ნენ კარგად. სკოლაში ყოფნის ღრივსები, ესენი ჭრაულობის დროების გართულ მწიგნობრობას და სკოლის შემდეგ, ცხოვრებაშიც, მწიგნობრობა სიქმეთ და სავნად გახდებს. ეს იყო მითო ახალგაზღური დევიზი.

მწიგნობრობით გაცემებულ ახალგაზღურებმა ფხიზლად გადახდებს თავიანთ მშობელ კვეყნის კუთხის სოფლებს და მასში მცხოვრებთ ხალხს და კარგად გაჲცნეს მათი ცხოვრების ავ-ჯარიანობა, გაიკრეს ისიც, თუ მათ აა უკირებდათ ცხოვრებაში და რით იყვნენ დაქვეითებულნი. კოველოვე ამ ნაკლის სახსრად მათ უადვილესად დაინახეს ქართული მწიგნობრობა, წიგნების ვრცელება, დაძინებულ გლეხობაში განათლების პატივის ცეკვანა.

ამიტომაც მათ განიძრახეს ყვირილაში წიგნის მაღაზიის დაარსება და ეს მალეც მოახერხდეს, წიგნის მაღაზია გახსნეს, ეს მოახერხდა ალექსანდრე არაბიძემ. წიგნის მაღაზიამ შათ ნათლად დაანახეა ქართული სახალხო წიგნების სილარაკე და ამიტომ მათ განიძრახეს წიგნების გამოცემაც და დაიწყეს ესეც, მაგრამ გამოცემას ერთი და ორი კაცის ნივთიერი ძალა ვერ აქმაყოფილებდა, ამიტომ მათ დაარსეს ამხანაგობა ასეთის გამომცემელთ სახელდობრი „გლეხი“ და ამ სახელით მათ დაიწყეს წიგნების გამოცემაც. პირველი წიგნი „გლეხის“ ამხანაგობის ამათ ბათუმში დასტამბეს 1893 წ. რაც მაშინთვე ავნუსებთ ჩენ გაზეოთ „კუალში“. მერე ამ „გლეხის“ სახელით თფილისშიაც გამოსცეს რამდენიმე წიგნი.

ეპისკოპოსი ანტონი გვარიდ გიორგაძე გახლავსთ. იგი დაიბადა 17 მარტს, 1866 წ. ქუთაისში. შშობლები დადანიტალია როსტომის ასული და მიმა მედავითნე ლუკა ვასილის ძე. ანტონმა პირველ დაწყებითი სწავლა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში დაიწყო, მერე სემენარიაში სწავლობდა, აქ სწავლა დაამთავრა 1885 წ. სწავლის დამთავრების შემდეგ ანტონი მსახურებდა სასულიერო სასწავლებელთ აპარენაშედ. იყო ქართული ენის მასწავლებლადაც ქრისის სკოლებში.



ანტონი შეცდლებული იქმნა 1888 წ. შეაცდა ჭრილუმასაც ლი, მერე შეცდლებ გარდა ცვალა. 1889 წ. რუსეთში წარი-და, აკადემიაში შევიდა, 1896 წ. დაამოავრი აკადემიის სწა-ვლა და ბერია შედგა, შემდგომ იმის 1908 წ. ხელდას-ხელულ იქმნა გორის ეპიკოპოსად. ეს გამოიავს მოკლე ბიო-გრაფიული ცნობა ყოვლად სამღვდელოს შესახებ.

დღეს ყოვლად სამღვდელო ანტონი ირიცხება საქარ-თველოს ეგზარხოსის ვიკიარნი ეპისკოპოსად, ანტონი ხშირად განიგებს ეგზარხოსის მოვალეობასაც. ყოვლად სამღვდელოს სამსახური ირის მეტად რთული და მძიმე. იგი ყოველთვის ორ სკამზედ უნდა იჯდეს, აქედაც უნდა გახლდეს და იქი-თაც, იგი ისეც უნდა გხეოდეთ და ისეც, ესე იგი აქეთაც და იქითაც. ეს კი შეუძლებელია იმის ასპარეზედ დღევან-დელ ხანაში, ეს გარემოება ჩეენ ფაქტებითაც ვიცით, რომ ანტონის მოადგილენი დევლი ვიკიარნი ეპისკოპოსები, გარდა ალექსანდრე ეპისკოპოსისა, თათქმის ყველანი ვინც კი ალე-ქსანდრეზე წინად გახლდენ, ყველანი მძღვანის მონებით ეპორჩილებოდნენ ეგზარხოსის ბრძანებას და სინოდის კანო-ნებს. იგინი იყვნენ ქართველი მღვდელ-მთავრები, თორემ და-ნმრჩენთ კი სინოდის უსულო ყმანი. ეგზარხოსების ყურ მო-კრილი მონანი.

მათი მსახურება ისეთის გარემოებით შეიმოხა და იკინი ისეთ არსებათ გადაიკუნენ, რომ ქართველ მღვდელ-მთავრებს, ერთ დროს, ქართველს ენაზედ სამღვდელ-მთავრო წირვის დროს, სასულიერო პირთა კურთხევის წესიც კი ქართულს ენაზედაც დაეკიწყდათ და ყოველივეს იგინი სლავიანურად ასრულებდენ თვით ქართველთ სასულიერო პირთა კურ-თხევის დროს საკირო წესებსაც კი.

ყველა ეპისკოპოსები გადაგვარებით ერთმანეთს უსწრო-ბდენ წინ, ასეთი იყო ხანა და თანამდებობა ადრინდელის ვიკიარნი ეპისკოპოსებისა. ამათ ასპარეზეზედ ბრძანდება დღეს



ყოვლად სამღვდელო ანტონი, იგი დამოუკიდებელი არ არის
მასე მსახურება კი ყველასთვის შეუძლებელია და აუტანელი,
შეტად ძნელი და მოუხერხებელი.

ამიტომ შეიძლება, რომ ხშირად ყოვლად სამღვდელო
ანტონი ზოგიერთების მოსაწონად ვერ მოქმედებს, ვერ ას-
რულებს თავის ვალს ისე, როგორც ეს ბევრს სურს და იქ-
მნება თვით ყოვლად სამღვდელოსაც, მაგრამ რა გაეწყობა,
ჩვენ, ქართველებს სხვა რაღა გვაქვს ჩვენს საკუთრებათ შე-
აჩენილი, რომ თუ იმის ში ქართველი ეპისკოპოსი ქართვე-
ლის გეგმით განაგებდეს ქართული ეკლესის საქმეებს.

ამიტომაც არავის უნდა გაძვირვებოდა ის გარემოება,
რომ ამას წინად, გაზეთებმა გვაცნობეს, რომ ყოვლად ამ-
ღვდელო ანტონში მთავრობას თხოვნა მიართო სამსახურიდამ
გადადგომაზეო. ზევრინი ვერ მიხვდნენ ამ თხოვნის სიიდუმ-
ლოების, ბევრისთვის წარმოდგენაც იყო ესეთი თხოვნი ყო-
ვლად საღვდელოსი, მაგრამ იქ გასაკირველი არა იქნება
რა თუ ყოვლად სამღვდელოს სამსახურის შინაურს პირო-
ბესაც გავაცნავთ. დღიობით არ არის, რომ ეპისკოპოსმა თხო-
ვნა მისცეს მთავრობას, რომ სამსახურიდან გამანთავისუფლე-
თო. ალბად მძიმე რამე მიზეზები არის აქ საგნაც გამხდარა,
თორმე უამისოდ წვრილმან უსიამოვნების გამო არავინ ისუ-
რვებს ასეთ სამსახურის თავის თანებების, ეს აღვილი საქმე
არ გახლავსთ.

მანიც ასე თუ ისე, ყოვლად სამღვდელო როგორც ქა-
რთველი მღვდელ-მთავარი უმეტესად რჩება ქართველად და
საღაც რიგია, იგი იქ ქართულადაც ასრულებს წირვა-ლო
ცვას, ამას გარდა მხურვალე თანამდევიარიც ქართველი ერის
ცხოვრების, მათმა შეუფეხამ იცის შესაფერი სიტყვების წარ-
მოთქმა, ამას გარდა პატივს სცემს მრევლში ყველის, დამხა-
რება შეუძლო მოწაფეთა, ერთ სასწავლებელში ყოვლად სა-
ღვდელოს სტიპენდიაც იქვა დაარსებული. ერთ დროს ჩერნის



წერ. კითხ. სამართველოსაც შესწირა თავის წვლილი და მუნიციპალიტეტის ვრცელი სხვა კეთილ საქმეებს ასრულებს თავის წინაშე, რომელთა მოთვლა აქ შეუძლებელია. ყოველივე ასეთ სასიკეთო მოქმედებისთან ეფი გახლავს ქართული მწიგნობაზეც და საქართველოს ისტორიის მოყვარე და ქართველ მწერლობასაც გულმხრვალედ ადვინდებს თვალსურს.

ურვლად-სამღვდელო აღავერის ეპისკოპოსი პიროვნი.

ახლად მღვდელ-მთავრის ხარისხზედ აღყვანილი ყოვლად სამღვდელო პიროვნი, გვარად იქმოპარიძე ბრძანდება, იგი დაიბადა 1874 წ. გორის მაზრის სოფ. დიხვეში. მონათვლის სახელად უწოდეს მათე, ამა მათი გახლდათ იყანე ანდრიას ძე და დედა ეკატერინე იყანეს ასული.

პატარი მათე პირე ად სწავლობდა თაფალის სასულიერო სასწავლებელში, მერე თყოლისისავე სევენიარიაში, აქ სწავლა დამთავრა 1896 წ. იქედამ რუსეთში გაემგზავრა და კიევის აკადემიაში შევიდა. 1903 წ. იკადემიაში სწავლა დამთავრა და იმავ წლის სექტემბერში ბრძად შედგა. მერე დაბრუნდა საქართველოში და მსახურებდა საეკლესიო აპარესზედ თფილის, არქიმანდრიტად იკურიხეს 1907 წ. და მღვდელ-მთავრობის ხარისხზე იღყვანილ იქმნა 17 დეკემბერს, 1915 წ. პეტროგრადს, დანიშნულ იქმნა ილავერდის მღვდელ-მთავრიდ.

ეს გახლავს მოყვლე ბიოგრაფიული ცნობა ყოვლად სამღვდელოსი, ესეც საკიარისია იდამიანის დაბადების და ვინობის შესატყობით, საქმე და საგანი სხვა ლირსება გახლავთ და სხვა საქმენი, რომელსაც ჩვენ მკაცრად უნდა ვეძებდეთ და ვეძებდეთ ჩვენი მღვდელ-მთავრებთა ცხოველებაში. ქარ-



რთველ მღვდელ-მთავრებში დროა გაღვიძებულ იქნებოდეს უკანას რეაცია რები და იდეაბი, რასაც ალექსანდრე და გაბრიელ ეპის- კოპოსები დღნენ. იმისი დროა უკვე, რადგანაც ამ მღვდელ მთავრების მოქმედება სირკეა და მაგალითი ყველასი, ვინც მათებურად არ მოიქცევა ჩვენში, მაშინ ის ჩვენი ტუმის არ იქნება, იგი ჩვენგანაც ისევე უნდა იქმნეს გაძვებული, რო- გორც წავაძძანეთ დიმიტრი და სხვა ასეთნი.

მადლობა ღმერთს, პიროსი ასეთ პირთავინ შორს დგას. იგი ცხადლივ შეაძველია თავის წინაპრების, განსცენებულის ალექსანდრესი და აწ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ყო- ვლად სამღვდელო ლეონიდის. ეს თრი წინაპრები მის სარ- ტედ უდგა თვალწინ, ერთს ჰბაძეებს საქმიანობით და მეორეს სიცუკით, ენერგიით, კალმით და სხვაც კეთილ სამიგალითო კარგის მოქმედებით, ალექსანდრე ეპისკოპოსი რომ მოს- წრებოდა შათეს მღვდელ-მთავრობის, მაშინ იგი წელში გაი- შლებოდა, გამაგრდებოდა, მით უფრო, რადგანაც მათეს დაი- ნახავდა ლეონიდის შეგვეს მოღვაწედ.

დიახ, ჰემატოტად რომ პიროსი არის სრული სახე და განხორციელება ალექსანდრე ეპისკოპოსის და ლეონიდის. ბევრს სასიკეთო მხარეთა გარეშე პიროსმა კალმით შრომა- შიაც აღრე გამოიჩინა ნიჭი და არქიმანდრიტობის ტროს, პა- როულს ენაზედ მან დასტამბა შემდეგი. სიხელმძღვანელო წიგნები:

1. სახელმძღვანელო მართლმ ადილებულ კატებიზმის შე- სასწავლად,
2. განმარტება პავლე მოციქულის სამოციქუ- ლოს ეპისტოლეთა ჭ. განმარტება სახარება შათესი 4. განმა- რტება სახარება მარკოსისა და სხვანიც ასეთნი. ასეთ შრო- მის გარდა ყოვლად სამღვდელო პიროსის წერილები გაზ.
- „შინაურ საქმეებშიაც“ ხშირად იბეჭდებოდა და უეჭველია კადევაც იშრომებს დღეის შემდეგ.

ყოვლად სამღვდელო პიროსი გახლავსთ კარგად მცოდ-

ნე ქართულის მწერლობის და საქართველოს ისტორიის. სხ-
 ვა მშრივათაც ეს სრული თანამშაბველია როგორც ალექსა-
 ნდეს მაგალითების, ისევეს ლეონიძის პარდაპირი მშაბველი
 შე თმის მოყვარეობით და მიმულისშვილობით.

პრეზიდენტი სი ამპროსი ხელაია.

ამბროსი ხელიას მე კარგად ვიცნობ, თვით იმ დრო-
 დამ, როცა იგი თვილისის სემენარიაში სწორელობდა, ხოლო
 მისი ცხოვრების ცნობათ შეკრება კი ერთობ ვამიძნელდა.
 ცნობების უქონლობის გამო, თუ რამ შეცდომა გვექმნეს,
 ვითხოვთ მოტევებას.

ამბროსი ხელია დაიმიდადა 1860 წ. სემენარიაში, პი-
 რველ დაწყებითი სწავლა მიიღო სამეგრელოს სასულიერო
 სასწავლებელში, მერე სწავლობდა თფილისის სემენარიაში.
 აქ სწავლა დასრულდა 1885 წ.

ამბროსი ხელია სემენარიაში სწავლის დროს, ირიცე-
 ბოდა საუკეთესო მოწმეულ, იგი როგორც საკლისო სწავ-
 ლის საქმეში იყო კოჩალი, ისეთივე გახლდათ საქვეყნო წი-
 გნების კითხვაშიც, ამანაგებშიც იყო სამაგალითო ამხანაგი,
 ყველას მოყვარე და ყველას საყვარელი თავის კეთილის, პა-
 რიოსანის ქცევით და ლირსებით.

მაშინ, სემენარიის მ. წალეთა შორის სალიან იყო გავ-
 რცელებული კოსმოპოლიტობა, იმერლები რომ იტყვიან
 „კრაინი-ატრიატელნი“, ბეკრს მაშინდელ გმირებს არც სა-
 ქართველო სწავლათ, არც ქართველობა, არც ქართული ენის
 პირობების ჰიება. ამ გვარის პირებისაგან ამბროსი ყოველთვის
 შორს იდგა.

იგი იყო ულრჩესად მოყვარე თავის სამშობლო ქვეყნის,
 თავის ერის, ქართული მწერლობის და საქართველოს ისტო-
 რიის, ამ დროს, ამბროს ხშირი მისელა-მოსელი ჰქონდა ჩე-



მთან, წიგნების შესახებ ლაპარაკი, მსჯელობა და ყოველ-
თვის ამბროსი გულ ნაკლული იყო ქართველი ერის ასე და-
ცემისა და დაკვეთებისედ, იგი მეტად უკმაყოფილო იყო,
სძულდა სასტიკად უგულო ამანაგები, ნამეტურ ისინი, რომე-
ლნიც ხშირად საქართველოსაც წარა-ზარად უარს ჰყოფდენ.
ასეთის ცოცახლის, ნათლის მამულის შეიღლობით იყო ამბრო-
სი ხელით აღვისილი და იგი სემენარის სწავლის შემდეგ
უნივერსიტეტშიაც წავიდოდა, მაგრამ შინაურმა გარემოებამ
ნება არ მისცა. იმიტომ იგი შინ დატრიალდა და მსახურებ-
და სასულიერო სკოლების ასპარეზედ.

მსახურების ასპარეზედ, წლის თავზედ, 1886 წ. დახა-
სლდა, მის შემდეგ სასულიერო წოდებაში შევიდა, 1887
წ. კურთხეულ იქმნა მთვისრ დიაკვნად სოხუმის ეპისკოპო-
სისაგან. მალე მღვდლობასაც მიაღწია, ამ დღიდამ მან მია-
ღწია თავის საწადელს და ხალხის წინაშე მსახურების შეს-
რულებას. ამგვარი მოვალეობაში საუკეთესო მოძღვარი იყო,
იგი მაღლე გახდა მთელის სოხუმის ბლაფონინიც, მასთანვე
სასულიერო წოდებაში შეიჩველელ პირთა ეგზამენატორიდ,
სოხუმის სკოლებში ქართული ენის მასწავლებლად, სხვა და
სხვა საქველმოქმედო საზოგადოებათა შეთაურ მომქმედ წევ-
რიდ და ბევრიც სხვა ასეთების.

ცველგან ამბროსი ხელით თავის თანამდებობას ყოველთვის
სინიდისიერად და ერთგულად ასრულებდა, ცველგან იგი
სტოვებდა თავის კეთილ სამსახურის ნებალს და ძარგს მო-
საგონარ ცნობებს. 1896 წ. დაქვრიცდა 1897 წ. ყაზანის
აკადემიაში შევიდა, სწავლა დამთავრა 1906 წ., იმავ წელს
იგი ბერად შეიმოსა და საქართველოში დაბრუნდა 1908 წ.
კურთხეულ იქმნა არქიმანდრიტად და დადგენილ იქმნა სამე-
გრელობში ორს მონასტრის წინამდღვრად, შერე გადმოყვანილ
იქმნა თფილისში და დანიშნულ იქმნა სინოდის წევრად და
ფერის ცვალების მონასტრის წინამდღვრად. 1912 წ. გადა-



ყვანილი იქმნა რუსეთში, მიზეზი ამისი ის იყო, რომ ქუთაფიშვილი ძვლოდ მას დასწამეს ცილი. ამ ცილის შესახებ მოვლიმა საზოგადოებამ იცის ყველაფერი, ამიტომ ჩვენ აქ არას ვიტყვით. აქ მოვიყვანთ ამბროსის შესახებ ერთ წერილიდამ რამდენსამე სტრიქონს, რომელიც ამას წინად დასტანდული გამლათ გან. „საქართველოში“ № 9, 1916 წ. ამ რა სიტყვებს სწერს პატივცემული დამწერი.

„უკველ შემთხვევაში, ვინც ამბროსის სპეციალისტი ამბროსის და საღ გონიმრებას იცნობს, მის წარსულის ცოტაოდნათ მაინც იცის და რამე საქმე ჰქონია მასთან, ის ვერ წარმოიდგენს, რომ ამბროსი რაიმე ჭუჭყიანს და ბნელ საქმეში ერთოს რაც თავის თავიადაც, ცადია იქიდამ, რომ ამბროსი დღეს ერთ-ერთ საუკეთესო მონასტრის წინამდებარია“, და სხვაც ასეთი ცნობანი ამბროსის შესახებ, მეტი ქება ამბროსისითვის ჩვენ არ ვეინდა, საკმარისია რაც ითქვა მასზედ და იმედია, რომ სიმართლეს გზა არ დაეკარგება და ამბროსიც ლდესმე განთავისუფლებული იქმნება ჭუჭყიანის ცილისაგან და თავის საყვარელს სამშობლო საქართველოშიც დაბრუნებული.

პრემიანდრიშვილი ნაზარი

არქიმანდრი ნიზარი გვარის ლევავა გამლავსთ, იგი დაიბადა 1872 წ. იმერეთში. მამა მათი გახლდათ ანდრია ნიკოლოზის ძე და დედა ეფემია გრიგოლის ასული. იმათ წინა პატინი სულ სისულიერობი ყოფილია. ნიზარმა პირველ დაწყებითი სწოვლა ქუთაისის სისულიერო სასწავლებელში მიიღო. მერე თფილისის სემენარიაში სწოვლობდა, სემენარიის სწოვლა დამთავრა 1892 წ. მის შემდეგ იგი შინ დატრიალდა. მსახურებდა სისულიერო წოდების ასპარეზშედ სკოლების ნაწილში.

მერე დასახლდა, მეუღლე ალექსანდრა მალე გარდა ცვალიადა რჩი ასული დარჩა, იგინიც დაიხოლენი. 1900 წ.



მღვდლად ცკურთხა, მფრე კიევის აკადემიაში წავიდა, აკადემიის სწავლა დაამთავრა 1908 წ. მღვთისმეტყველების კანდიდატის შეგისტრის სახელით.

აკადემიაში მან ვარიოჩინა კარგი ნიჭი, ამიტომაც იგი სწავლის დამთხვერების უმაღლე, დანიშნულ იქმნა ველინსკის სემენარიაში მასწავლებლად, აქ დარჩა ორ წელიწადს, მერე გადაიყვანეს იმავ გუბერნიის კლევანის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად. 1911 წ. აძურთხეს არქიმანდრიოტათ. და გადმოიყვანეს საქართველოში და დადგრნილ იქმნა იმანე ნათლისმცემლის უდაბნოს წინამძღვრად, იმავ დროს, იგი კეთილ მოწესედ ქართლ-კახეთის, იმერეთ და შესხეთ-ჯავახეთის ძევლის ნაშთების ზედამხედველად.

არქიმანდრიოტ ნაზარს მოსვლისათანავე შეეტყო ქართული მამულიშეილობა, თავის ქვეყნისა და ერის გონიერული სიყვარული და საძსახურის ტრფიალება. მან ფხიზლად გადახედა ჩვენს წარსულს, ჩვენს ეროვნებას, ჩვენს ისტორიას და მის მწერლობას, ამის წინაშე მას დიდი გულის სითანალე დაემსხა, ამიტომაც არქიმანდრიოტ ნაზარმა თავის გულის სალბუნებლად მონახა კარგი მეგობარი, კარგი ამხანაგი, ეს გახლავსთ მწავლელი მოძღვარი კ. კეკელიძე.

ამ გარემოებამ ჩვენ კარგად გვამტნია არქიმანდრიოტ ნაზარის ვითარება და სულიერი სუფთა სიმაღლლის ღირსება. იგი ჩვენი წინანდელის სასულიერო პირების ცალი არ გახლავსთ, ჩვენ გავიცანით იგი პირადათ, მასში რამე უკუდმართობა და ქვეყნის წინაშე თაღლითთაბით სამსახურის მიღრეკილება უარყოფილი და დაგმობილი ვნახეთ. ეს ჰქონდება განლილი.

საქართველოს სიყვარულში მას ცილს ვერვინ დასწამებს, ამის თანაბეჭდ ვიტყვით: ვინაიდგინ ჩვენ ვიცით არქიმანდრიოტის ნაზარის საქმებილაშ ისეთი ცნობებიც, რაც მის კეთილ თვისების. ქველ მოქმედების და ასეთ საქმეებს და რის ცნო-



ბასაც რომ აშეარია იქნეს, იგი ბევრს გააკვირვებს, ჩემი უკანას თი საქმის მისი კეთილი ცნობა გვაქვს და ვინ იცის არქიმანდრიიტ ნაზარის რამდენი სხვა ასეთებიც აქვს ნამოქმედირი. არქიმანდრიიტ ნაზარიმა ერთ ქართველ საქმეს ისეთი მხარი მისცა და ისეთი თავიაზი გაუწია, რასაც სხვანი, მასზედ უფრო მღიდრებს და მეტი თანამდებობის პატრიანებს არ გაუმეტინათ თუნდ მის მეათედი.

არქიმანდრიიტი ნაზარი ჯერედ ახალ გაზღა პირი გამლავთ, მას მომავალი კარგი ვქნება, გონიერი გამგე იქნება ყველგან. ამის გონიერებას ცხადათ ასაბუთებს მისი წარსულიც, რაც იგი სემენარიაში სწავლობდა და მერე აკადემიაში, ყველგან იგი დაბეჯითებით კითხულობდა სხვა და სხვა სამეცნიერო წიგნებს. რუსულ თამეცნიერო წიგნებში იგი კარგად არის დახელოვნებული, ყოველივე ლოლიკურს სიცხოზესა და ნათელს გონიერებასთან იგი გახლავსთ კარგი მაძიებელი ჩეენის ისტორიული მწერლობის და მას გაშუქების. ამიტომ მან თავს იდვა და თავის შრომით გამოსცა დეკანოზის პ. კეკელიძის წიგნი, სახელდობრ „იერუსალიმის კანონიი“. დირსეცელი ისტორიული შრომა

ეს მაგალითიც ჩინებული საქმეა, მაშ უსურვებთ არქიმანდრიტ ნაზარის, რომ ამ ხაყურადღებო წიგნის მაგალითი მის დამამტკიცებელი გახდეს, რომ არქიმანდრიიტი ნაზარი არც შემდევ დაივიწყებს ასეთ წიგნების გამოცემის და ხანდისხან მაინც გამოსცეს ასეთ იშვიათ ძეირფას წიგნებს. ამის იმედი ჩვენ მით უფრო გვაქვს, რადგანაც არქიმანდრიიტ ნაზარის კარგად ვაკონით, ვაკით მისი განუსაზღვრელიდ საქართველოს ერის სიყვარული და ის გარემოებაც, რომ იგი ქართველი ერის ეკლესიის ასე დაქვეითებაზე, დიდად უმაღლურია და მწუხარე, რაც მას არა ერთეულ პირადაც გამოუთქვამს.

სტამბის ისტორიაში ვერ მოვათავსედ შემდეგ ამბებთა
ამბებთა ანუსხვა. იგი მიორე წიგნში იქნება მოთავსე-
ბული.

* *

*

ქალალდის ქარხნის დაარსება იმერეთი და ქართული
ქალალდის გაჩენა საქართველოში. „მ. დღ. 1750 წ. ქ. კ.“

* *

*

მეზნის კეთების ოსტატები საქართველოში და შევი,
ლურჯი და წითელი მელნის კეთები. მელანი „გიშერა“ და
მარიამი“ მის. დღ. იხ. მაზ.

* *

*

სტამბის შევი, წითელი და ლურჯი კრასკების შემო-
ლების დრო, ამ წემლების გაფრთხების ოსტატობა და XIX საუკ.
მოსპობა მისი.

* *

*

ქალალდის საეპიკოს გმირის ქვეთაისში 1760 წ. და კო-
ნცერტების გამოყრა, ბატის ფრთის კალმების გამოყრა და
სხვაც ასეთ საგანთა და ნიკოლა გავრობა და ვრცელება.

* *

*

ინდოელთა მონები საქართველოში და შექრის ლერწმიას
მოყვანა ბამბის მოყვანა ქალალდებითვის და შექრის ქარხნის
დაარსების ისტორია.

* *

*

არ ვიცით სიცდამ და როგორ იქნა მოძებნილი ქართ-
ველ ძველ ხელოსნთა კოდნა, დღეს, საქართველოში, სტა-
მბის კრასკებს დეკორაციის თათრული სტამბის მეს-
ტამბე უნისი-ზადე. ნახეთ ამაზედ წიგნშიაც.

* *

*

ჩვენ მიერ ანუსსულ სტამბის აღწერილი ისე გამოდის



უომ ქართველ მესტამბენი თითქოს სულ უცოდვეჭრა და მიგდება
ლოზები იყონ. არა, ამათშიაც არიან ნაკლის მექონნი, ხოლო
მათი აღწერა აქ ვერ მოვათავსეთ. იგი მეორე წიგნში იქნება
დაბეჭდილი.

სასიამოვნო ამბავი.

სტამბის მუშებსა და ხელოსნებში სულ არ არსებობს მიმ-
დევრობა სტამბის გახსნისთვის. ამის მიზეზი ხელოსნების სიღა-
რა ით აიხსნებათ. მაგრამ არა, ეს ტყუილა, ჩვენ კარგად ვი-
ცნობთ სტამბის ხელოსნებს და ბევრი მათგანი შეძლებულიც
არის, მაგრამ მათში შეძლებულს, თუ შეუძლებლებში ერთ ნაირად
არის საქმის სიმკუდრე გავრცელებელი.

ეხლავი მოხდა ასეთი ცვლილება და მავალითი: ამ ბო-
ლო დროს, სტამბის ერთმა ხელოსანმა, თავის ხელობის კარ-
გად მცოდნემ, დავით ლევანისძემ პიტიაშვილი, თბილისში სტამბა
გახსნა, სტამბას აქვს მსწრაფ შექვდავი და ამერიკანკა, მოწყო-
ბილია სუფთათ.

სტამბა არსებობს სამების ეკლესიის ახლოს, გრაფის ქუჩა-
ზე № 10 სტამბას ქარულათ (განათლება) ეწოდება. ულოცავ
სატამბის ხელოსნებს, ასეთ წარმატებას მათში აღორძინდა მიე-
ცის, ვინაიდგან სტამბის მოგება პალალი იქნება რომ მათ დარ-
ჩეს.

სტამბის ცვლილებანი.

თბილისში ჩვენ მიერ წიგნში ანუბსულ არ. კერქელი-
ძის სტამბა გაა. (თ. აზ) და ვ. რუხაძემ შეიძინეს, სტამბა ძველ
აღიაგას არსებობს.

გორის სტამბა, რომელიც წიგნში აღნიშნეთ, მის პატრი-
ნა თ. ციციშვილმა თბილისში გადმოიტანა.

ქუთაისის ჭ. წ. კ. გამა. საზოგ. სტამბის შესახბ ლაპარა-

კობენ, რომ თბილისში გადმოიქვეთო.



ქართველთ ლიტოგრაფიები.

ვერ აენუსხეთ ლიტოგრაფია გრავიორის ვახტანგ კილაძისა და ცაგურიასი, შემდეგ დაისტამბავთ, თან დაურთოთ აღწერის ქართველ მხატვრების, ჩუქურთმის მჭრელთ და ქართველი გრავიორების.

სტამბის მუშების საყურადღებოთ.

12 აპრილს გარდაიცვალა სტამბის ხელოსანი და მწიგნობრობით ცნობილი ალექსანდრე მირაქოვი, მის დასაფლავებას, ძველებურათ მხოლოთ სტამბის სამი მუშა დაესწრო, თუმცა განსვენებული სტამბის ხელოსნებში ცნობილი იყო, როგორც მწიგნობარი და ღირსეული ხელოსანი. მაინც სატამბის ხელოსნები ასე აფასებენ თავიანთ თავს.

პრელატი დონ ივანე ანტონოვი.

დონ ივანე ანტონოვი სახელოვანი და ამაგდარი მოღვაწეა, იგი პატივუმული გახლდათ მთელ ქართველ კათოლიკობაში, კათოლიკობას გარდა მას ქართველობაც კარგად იცნობდა. დონ ივანე გორის მეცნიერთაგანი გახლდათ.

დონ ივანემ საქართველოს ისტორიაც კარგად იცოდა, საქართველოს საქმეებს იგი კარგად იცნობდა, ამიტომ იგი საქართველოს ერის ბედზედ ერთობ გულ-დაწყვეტილი იყო და უძალული. ქართული ენაც ჩინებულად იცოდა, წერაშიც გახლდათ დახელოვნებული.

დონ ივანემ სწავლა-განათლება მიიღო რომში, პაპი უზბან მერეის კოლეგიაში, სწავლა დაასრულა 1874 წ. მიიღო დიპლომი ფილოსოფიის და მღვთის-მეტყველების პროფესიონალის, ამავე წელს იგი ეკურთხა მღვდლად და მის შემდეგ იგი დანიშნეს ქუთაისის კათოლიკეთ ეკლესის წინამძღვრად. ეკროპიელ ენებთ შორის დონ ივანემ პოლონურიც კარგად იცოდა.

კათოლიკეთა სასულიერო წოდებაში, მან მაღე დაიმსახურა დიდი სახელი და პატივისცემა. მისი ნიჭიერება რომის ტახტმაც შეიტყო. იგი მაღე დააწინაურეს, სარიატოეს ეპისკოპოსმა მიიწვია სემენარიის რექტორად და მასთანვე ფილოსოფიის და მღვთის-მეტყველების პროფესიონად, ამ საგნებს იგი მოწაფებს ეკროპიულის ენებით ასწავლიდა.

1902 წ. საქართველოში გიახლათ კათოლიკეთა ეპისკოპოსი, ეს პირველი მიგალითი იყო XIX საუკუნეში. ეპისკოპოს თან მოპყვა დონ ივანე. ეპისკოპოსმა პირველად ტურისის კათოლიკეთ ძეველს ეკლესიაში სწირა, სადაც თანამწირველად გახლდათ დონ ივანეც. წირეაზედ დიდი ძალი საზოგადოება იყო მოწვევული. წირვის დროს დონ ივანემ ქართულად იქადაგა, ამის ქადაგებამ მსმენელებზედ კარგი გავლენა იქონია, ნამეტურ აღტაცებული იყო ილია ჭავჭავაძე, ეს შეერალი

იმ დღიდამ დიდის თავისით და პატივისცემით იხსენიებდა დონ ივანეს სახელს.

იმბობენ, რომ დონ ივანეს თურმე ტერ-აბრამიანი ოსტა-ტურად იტყუილებდა, ვიდრე ტერ-აბრამიანი ახალციხის კათოლიკეთ ეკლესიების უფროსობას მიიღებდა, მინამ იგი თურმე ქართველობდა და მით ხიბლავედა დონ ივანეს, ესეც თურმე რომის ტახტის წინაშე სახელს უკეთებდა, რომ აბრამიანი დროით მიეღო უფროსობა. ეს მალეც მოხდა. აბრამიანი განდიდების შემდეგ სხვა მელად გამოჩნდა, ქართველების დაჩაგვრაც დაიწყო. ეს გარემოება კი დონ ივანეს დიდათ ადარდებდა. იმ გარემოებამ მეტად ცუდათ იმოქმედა დონ ივანეზედ.

დონ ივანეს შესახებ მოვიყვანთ აქ პატარი წერილს, რომლის დაწერაც ეკუთვნის პატრი ბერნარდე განზეს, ტომით ნებენც, ქართული ენის კარგად მცოდნეს.

„დონ ივანე დაიბადა 7 დეკ. 1846 წ. ქ. ვორში. დაასრულა ქუთაისის გიმნაზია 1865 წ., რომლის შემდეგ გაემგზავრა რომში, სადაც სწავლობდა პაპი ურბანის კოლეგიაში, რომელიც დაასრულა 1874 წ. და მიიღო დიპლომი პროფესორისა ფილოსოფიისა და მღვიმე-მეტყველებისა. ეკურთხა ქ. სმირნის (მკირე აზიაში) და იმავე წელს (1874) დანიშნულ იქმნა ქუთაისში, თანაშემწეო მოხუც მოძღვრისა დონ ანტონი გლახოვისა, რომლის სიკვდილის შემდგომ ე. ი. 1879 წ. მიიღო დანიშნულება მისივე და იქმნა მთავარ-მოძღვრიდ იმავე ქუთაისის ეკლესიისა და ასწავლიდა საქრისტიანო მოძღვრებას გიმნაზიებში და სასწავლებლებში.

1883 წ. ეპისკოპოსმა ცოტბანმა მიიპატივა სარატოვის კათოლიკეთ სემინარიაში და დაადგინა ინსპექტორად და პროცესორად სემინარიისა და ავრეთვე დამცუკლად ქორწილობის კანონ-ჩივთა.

ეპისკოპოსმა ბარონმა ფონ-დერ-როპმა გახდა რექტორად იმავე სემინარიისა და ასესორად კონსისტორიისა 1903 წ. ამავე



წელს წმ. მამამ პიო X-ემ შუამდგომლობით ამავე ტექსტის ტანი გახდა თავის პრელიტად და პროტონორიუსად სამო-
ციქულო ტაბტისა—ad instar participantium.

1908 წ. გახდა ავად სარიტოვში და გადმოვიდა სამშობ-
ლოში 1910 წ.

გარდაიცვალი თფილისში 1912 წ. 25 დეკემბერს. დასაფ-
ლივებულია წმ. პეტრე-პავლეს ეკლესის გალავანში.

გიზატატორი დონ მიხეილ ანტონოვი.

დონ მიხეილი გახლავსთ ღვიძლი ძმა დონ ივანესი. დონ
მიხეილი აღიზარდა რომს, ირიცხება რომის აკადემიის მღვიმი-
შეტყველების კინდილატათ.

იცის ევროპიული და აზიური ენები, ევროპიულ ენებთ
შორის კარგად იქნება შესწავლილი პოლონური, ამ ენაზედ იგი
შეკლებიაში თავისუფლად სწირავს და ქადაგებს.

დონ მიხეილი სამღრთო წერილისა და ევროპის სწავლა
შეცნიერებაშიაც კარგად გახლავსთ განვითარებული და მომზა-
დებული. ყოველ ღირსებასთან იგი ბრძანდება სამაგალითოდ
მსახური კათოლიკის ეკლესიისა და მასთანვე სამაგალითო კა-
თოლიკი, ყოველ სასიკეთო ღირსებასა და მღვიმის-მსახურე-
ბასთან მას აქვს მოხდენალი ხმა და მისაზიდი კილო, მისი
წირვა-ლოცვა გახლავსთ ყოველთვის სმოვანი. ყოველ ასეთ
ღირსებასთან თავის დედა-ენაც კარგად უწყის.

როგორც მკალესის უმაღლესი მსახური, მთელს თავის
სამრევლოში გახლავსთ სამაგალითო აღამიანი. თვით პოლო-
ნელებიც კი, რომელნიც ცხარე ნაციონალისტები არიან და
მასთან მეტაცი მაძიებელნი მის, რომ მათ ეკლესის მეთაუ-
რად უსათუოდ პოლონელი უნდა ჰყვანდესთ, თვით ესენიც
კი დიდათ აფასებდნ დონ მიხეილს.

ასეთი პირის სხელოვნება ჩვენთვის, ქართველებისათვი-
შაც, რასაკეირველია, რომ სახახელოა და საღიღებელი. მრევა-



ში იგი გახლავსთ შესმენილი მეთაური, კარგად მცუდონებული კი მრევლის ავ-ჯარგიანობის. დონ მიხეილი თავის მრევლში მოძღვართ მოძღვარიც გახლავსთ, მათი პედაგოგ-მასწავლებელიც, მათი მოსამართლე-კანონმდებელი და ყოველივე ამაებთან ერთად ტრირთ მძიმეთა და მაშერალთა, ანუ გაჭირვებულთა დამხმარეც.

პირნათლად უნდა მოვიხსენოთ, რომ ასეთ სუფთა-ზიგიან პირთა პოენა და ნახვა ჩეენს დროში ერთობ იშვიათია და ძნელი. ამ ლირისებაშ მას თავისუფლად მიაღწევინა იქამდის, რომ 1907 წ. რომის ტახტის თანხმობით იგი დანიშნულ იქმნა საქართველოს და საქართლად მთელის კავკასიის კათოლიკეთ ეკკლესიის ვიზიტატორად. ესეც პირველი მაგალითია ჩეენთვის, მთელს XIX საუკუნეში ეს პირველი გახლავსთ, რომ კავკასიის კათოლიკეთ ეკკლისიების უფროსად ქართველი გვარის კათოლიკეთ იქმნა ვიზიტატორად დანიშნული. დონ მიხეილის შესხებ აქ მოვიყვან პატარა ბიოგრაფიულ წერილს, რომელიც დაწერილია ავტოფო პატრის ბერნარდე განზესავან.

„დონ მიხეილი დაიბადა 1855 წ. 29 მარტს ქ. გორში. სწავლობდა ჯერ თფ. გომიაზიაში, ხოლო შეასრულა თვისი პუმანიტური სწავლა ქუთაისის გიმნაზიაში 1878 წ. და ამ წელსვე გაემგზავრა რომს, სადაც სწავლობდა როგორც თვისი უფროსი ძმა, პრელატი ივანე ანტონოვი, ურბანო პაპის კოლეგიუმში, რომელიც გათავებისას ეკურთხა მლელლად 1884 წელს 24 დეკემბერს. პირველი წლები თვისი მლელლობისა გაატარა საჩატოვში, სადაც ასწავლიდა 1893 წლამდე კათოლიკე სემინარიაში: ფილოსოფიის, ლითინურ ენას, ანგარიშს და გეოგრაფიის.

მხოლოდ 1893 წელს დანიშნულ იქმნა ვიქარნად თვეულისის მიძინების ეკულესისა და მასწავლებლად საქრისტიანო მოძღვრებისა გიმნაზიებში. ხოლო ერთი წლის შემდევ მიიღო ჩინი მანსიონერალისა ქათედრალი ეკლესიისა და დაინიშნა ჯარის მოძღვრად თემირ-ხან-შურაში.



1903 წ. დანიშნეს იგი მარიუპოლის მთავარ-მისტერიალის და დეკანათ. ხოლო 1906 წ. გადმოვითა კვლავ სამშობლო-ში მასწავლებლად საქართველოს მოძღვრების თფილისის გიმნაზიებისა და 1907 წ. დაინიშნა მთავარ-მოძღვრის თფილისის წმ. პეტრე-პავლეს ეკლესიისა და საყოველთაო ვიზიტატორიად კათოლიკე ეკლესიებისა ამიერ და იმიერ კივკასიისა დღემდე-ეს არს პირველი ქართველი ვიზიტატორი".

კონსტანტინეპოლის ქართველ კათოლიკეთ მონა-
სტრის აბბატი პიო ბალიძე.

სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა აბბატი პ. პიო ბა-
ლიძე დაიბადა 1882 წ. სოფ. ხიზაბავრაში. ყმაწვილობისას
ძალიან ცელქი ყოფილა; ეს სიცელქე სტამბოლშიც ემჩნეო-
და: სასწავლებელში არა ერთი და ორი სომები ანუ ბერძენი
თანამოწაფე აუტირებია, რადგან დასკინოდნენ საქართველოს
და ქართველ ერსა. მიუხედავად ამ სიცელქისა, მაშინთვე
ერყობოდა, რაც უნდა გამოსულიყო; ზოგიერთი დაკვირვე-
ბული პირი კიდევ დაბჯეოთებით ამბობდა: ამას მაგრე ნუ
უყურებთ, მომავალში მონასტრის სვეტი იქნებათ.

ქართულ ენას ექვსი წლის განმავლობაში ასწავლიდა სა-
ქართველოში ქარგად ცნობილი მჭევრი მოქადაგე პ. ალფონს
ხითარაშვილი. ამის დამწეველი სიტყვები სიკედილამდის არ და-
ავიწყდებათ არც პ. პიოს და არც მის თანამოწაფეებს. გან-
სვენებული გაცხარებით ლაპარაკობდა ხოლმე მამულზე, მის
წარსულსა და ებლანდელ უბედურებაზე. რადენჯერ ცრემ-
ლები შეუმნიერიათ მოწაფეთა თვალებში. იქ უნდღიერ მა-
სენდება ჰანიბალეს ცხოვრება: ჯერ კიდევ უმაწვილი იყო,
მისმა მამის სპათსპეტმა ჰასდრუბალმა ტრაპეზითან მიიყვანა და
ფიცი ჩამოართვა ღმერთების წინაშე, რომ უკანასკნელ სულის



ამოფშვინვამდე მტერი იქნებოდა რომაელებისა. მათგან უძლიერია
სის სპეციაკ სულს არ შეეფერებოდა ვისმეს მტრობაში გაე-
წვართნა ახალგაზრდები, და არც თუ სხვა რამენე ფიცი ჩამო-
ურთმევია, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, თვითოვეულ მის მო-
წაფეთაგანს იმ დროიდანვე შეფიცული აქვს სამშობლოსთვის:

„შენი ვარ, შენთვის მოკვდები

შენზედვე მგლოვიარეო“.

ახალგაზრდების ბანაკიდან სულ პირველად მ. პიო ეკურ-
თხა მღვდლიად. მაშინ ყველასაგან მიჩნეული იყო როგორც
მონასტრის უფროსისაგან (პ. ბენედიქტე), იგრედვე ეპისკო-
პოსისაგენ და თვალსაჩინო თანამდებობანიც პქონდა მიბრი-
ლი; მაგრამ მონასტრიილთა შინაურ შულლმა გული გაუტეხა
და განზე გადგა, აღარაფერში მონაწილეობა აღიარ მიიღო.
სწორედ იმ დროებშიც უფროსობის ვადა უთავდებოდა ცნო-
ბილ პ. ბენედიქტეს*). ახალგაზრდების ჯვეფშა მ. პიოს კან-
დიდატურა წამოაყენეს; ეს არჩევანი უმეტესობას ძალიან მოე-
წონა, და მართლაც უნაზეს გრძნობასთან შეერთებული გაუ-
ტეხლი ენერგია და მონასტრის განუსაზღვრელი სიყვარული,
ღირს პქმნიდან მ. ბალიძეს აბბატობის არგნისა (კვერთისა).
მისდა საბედნიეროდ მისი თანაშემწენი ყველანი სათანადო
ცოდნით აღჭურეილ არიან და ყველანი, როგორც ერთი პი-
როვნება, ერთობით მოქმედობენ; ამ ერთობაში სწორეთ მა-
თი წინსვლის საიდუმლო: ყველაფერს წარმატება დაეტყო.

მეტადრე აღყვავების გზაზე დადგა შინაური სასწავლებე-
ლი, საკვირვლიად გაიზარდა და მაღე გიმნაზიადაც გადაკეთ-
დება თუ კუნომიურ პირობებმაც ხელი შეუწყეს.

*) ექ მეტი არ იქნება პ. ბენედიქტეზე ცოტა რამ ვსთქვათ. იგი
გვიროვნობით ხალასი ქართველია, და რამდენადაც მე ვიცნობ არც თუ
გრძნობით ღალატობს ქართველობას: ეუზნალებში ბენერი დანაშაობა
ცუდუბრალოთ წამოახვევს თავზე, ეს კია რომ ბრალიანათ მიმაჩინია იყო
ამ სამ უმთავრეს საგნიში: ა) ქართველი ტიპიონი ამას ტევრევენა, ბ) უსკუდრის (scutari) მამული დაუკარგა მანასტერს და გ) უფროსობის
დროს არ შეეცადა შეღლი მოესპო, პირიქით ეფრა გამწვავა. — შ. ბ.



საქართველოს ხელში აღტაცებით მიეგება მონასტრის მუნიციპალიტეტი მოფხიზლებას, ბევრმა შეძლებისდაგვარი დახმარებაც აღმოუჩნდეს, მეტადრე ჭ. ქუთაისში, საიდანაც კურნალები და დიდობალი წიგნები გაუგზავნეს სხვა და სხვა პირებმა*).

ამ წელს მ. პიომ მოიარა საქართველო და პირადად გაიცნო სამშობლოს პირ-ვარიმი. თავისი მოქმედების გეგმანი მოწინავე პირებს გაუზიარა და უკელანი აღტაცებით მიეგებნენ მის კეთილ განზრახვებს. ჩვენ პირადათ ვიცნობთ პატივ-ცემულ აბბატს: ის ზოგიერთივით კაჯალს არ ამხრიალებს, მაგრამ დარწმუნებული ვართ ბევრს საქმეს კი გაარიგებს. ექვსი წლისთვის ჩაბრილი აქვს უფროსობა, ამ მოკლე დროს განმავლობაში ერთი-ათათ აუვადება მონასტრი და განციფრებულ სახოვალოებას ბევრს მოულოდნელ ნიაყოფს დაანთვებს.

სტამბოლის განთვმულ აბბატს მ. პიო ბაღიძეს ცუსურ-ვებთ მოლომდის პირნათლიად აღესრულებინოს თავისი მოვალეობა.

პატივ შიო ბათმანაშვილი.

ქუთაისის რომის ქართველ კათოლიკეთ ეკლესიის წინაშეღვარი დონ დამიანე სააკამფილი

დონ დამიანე სააკამფილი დაიბადა ჭ. ქუთაისში 19 ივნისს 1865 წ. მამა იყო იაკობი (გორელი) და დედა მაგდანელა ლაპინაშევილი (აბხაზელი). შშობლებში 7 წლისა მიაბარეს იგი ადგილობრივ კათოლიკეთა სკოლაში, შემდეგ გიმნაზიაში და 1883 წ. თავისი სურვილისამებრ მისმა მამიდაშევილმა დონ ივანე ანტონოვმა, მაშინდელმა ქუთაისის რ. კ. ცელესის წინაშეღვარიმა, გააგზავნა რომში სისწავლებლიად უჩბანო VIII

*) თუ ქრისტი ასე გამოიჩინია, ეს იმიტომ რომ იქ ცხ-ვრისს მონასტრის გულითადაც მეგობარი თ. კლადიმირ წერეთელი, რომელიც და და კულტურულ შრომას ეწეოდა სტამბოლში, და არც აქ საქართველოში იკინება თავის საყვარელ საქმეს.



პაპის დაარსებულ კოლეგიაში, სადაც დამთავრა 1891 წელს
გამოემგზავრა სარატოვში ტირასპოლის რ. კ. ეპარქიის ეპის-
კოპოსთან, რათა მღვდლიდ კურთხეულიყო (ხაზღარ-გარედ
მღვდლობის მიღება მთავრობისაგან აკრძალულია), თანაც რე-
კომენდაციის წერილი ჰქონდა იმ კოლეგიის უფროსისაგან —
კარდინალ სიმეონისაგან.

ეპისკოპოსში ცერიტა სიმონენებით მიიღო — ჩარიქანი იგი
თავის კლერიკულის სიაში და 6 თვეის შემდეგ კიდევ იკურთხა
მღვდლიდ. უნდოდა ეპისკოპოსს დაენიშნა იგი პროფესორად
მისივე სემინარიაში, მაგრამ მარ ამჯობინა ემოლვაწა მრევლის
დახმარებაში და სთხოვა საღმე დაენიშნა სამრევლოში. აუ-
სტუდია ეპისკოპოსმა მას სურვილი და 20 მარტს 1892 წ.
გააგზავნა იგი ადმინისტრატორად (მმართველად) პეტერბურგის
(თავრიზის გუბ.) სამრევლოში, სადაც ერთი წელიწადი ერთ
უმღვდლოთ იყო. დღესაც ბერევობი, და ნამეტნავად იმ
დროს, პიტარა ქალაქია, ლარიბი და მოკლებული ყოველ-
ნაირ წყლისა თუ რკინის გზის საშუალებათა.

თვეით სამრევლო შესდეგბოდა რამდენიმე სოფლისაგან,
ზოგიერთი მათგანი 130 ვერსის მანძილზეა პეტერბურგიდან;
ძრივლ ძნელ და მძიმე მდგომარეობაში იყო: უსუფაობა, სი-
ლარიბე, სულ ცხენით მგზავრობა ზამთარ-ზაფხულ, ქოხებში
შეჩერება; ყველა ეს აიტანა მხიარულებით და დასახმარებლიდ
გატირვებულ გლეხებისთვის.

6 თვეის განშევლობაში აღაშენა ერთი პიტარა აგურის
ყკლესია პეტერბურგში, სადგომი სახლი შეაკრთა მოწყობილო-
ბით, შემოარტყა რკინის ზღუდე და სხვა. ეს სუსელია აქა-იქა
წასვლით და ფულის შეკრეფით (20,000 მან.). 12 ოქტომ-
ბერს იმავე 1892 წელს იკურთხა ეს კელებისია დიდი ძალი
ხალხის თანადასწრებით. კურთხევაში მას ეხმარებოდა ხერხო-
ნის წინამდგარი ბერლინი (ბაროხი) და სიმფეროპოლის კე-
სლერი (ებლანდელი ეპისკოპოსი ტირასპოლის ეპარქიისა).



13 აგვისტოს 1894 წ. იტალიელების თხოვნის შემთხვევაში კუანილ იქვე ბერდიანსკის (აზოვის ზღვა) სამრევლოს შმარ-თველად, სადაც ახლად შეაკეთა იქაური ეკულესია, შემორ-ტყა რეინის ზღუდე, ეზოში გააშენა ბალი და დაარსა სამრევ-ლო სკოლა და სხვა.

22 იანვარს 1899 წ. გაგზავნილ იქმნა ოდესაში იტალიე-ლებისათვის და თანაც ებრაელებოდა პოლონელების მღვდელ-საც, რის გამო შეისწიოდა მათი ენაც — პოლონური. ამ ენაში ისე დახელოვნდა, რომ მეტაც თავისუფლათაც ქადაგებდა ამ ენაზედ.

13 ივნისს 1902 წ. გადაიყვანეს ლუგანსკში (ეკატერი-ნოსლავის გუბ.) იქაური მრევლის თხოვნით, რათა შეედგინა ახალი სამრევლო ლუგანსკში, რაღაც მანამდის ეს ეკუთვ-ნოდა ბაბშუტის სამრევლოს. იმ ხანში გამოიცვალა ეპისკოპო-სი ტირასპონისა ცეტრი და მის ადგილზედ დაინიშნა ეპის-კოპოსი ბარონი ფონ-დერ-როპპი, რომელმაც მაშინვე ისურვა კავკასიის სამრევლოების დათვალიერება და თან წაიყვანა დონ დამიანე თავის სეკრეტრად. იმ ხანებში, სხვათა შორის, ეპის-კოპოსმა აკურთხა და მირონი სტან ბათუმის რ. კ. ეკულე-სიას ახლად აშენებულს ს. კ. ზუგალაშვილის მიერ. ვ თვის შემდეგ, დასრულდა თუ არა ეპისკოპოსის მოგზაურობა, და-ბრუნდა ლუგანსკში, მოკრიფა აქა-იქა წასელით ფული, და-წყო ეკულესის შენება და რაღაც ეს ჩქარა არ მოთავდებო-და, ააშენა დროებით სალოცავი სახლი, ბინა მოძღვრისთვის, ზღუდე რეინისა, იქირავი სახლი სკოლისთვის, დაარსა სა-ქველოქმედო საზოგადოება ამ სკოლის შემწეობისთვით, სა-დაც პირველ წელსვე მოაგროვა 40 ბავშვი ღარიბ მოხელე-ების და ისე ლუგანსკის სამრევლო უფრო მაღლა ასწია ვი-ნემ ბაბშუტის, რომლის ერთ ნაწილს შეადგენდა წინეთ.

16 აგვისტოს 1905 წ. თხოვნით ქუთაისელების ეპისკო-პოსმა დანიშნა იყი ქუთაისის რ. კ. ეკულესის შპართველად, სადაც დღეს იმყოფება. თუმცა ძრიელ ცუდ დროს გადმოვი-



და იგი სამშობლოში, საღაც ახალ-თაობის მოძრაობაში მოუნდა კარგი მანერის პირველსავე წელიწადში პირველი ყურადღება მიაქცია ბავშვების აღზრდას—გადააკეთა და გაადგიდა სკოლა, შემდეგ ეკლესია, სადგომი სახლი, ეკლესის ეზო, ყოველ დღე თავისუფალ დროს თვითონვე მუშაობდა რაც შეხვდებოდა, თვით დღიურ მუშებთანაც და ასე ეკლესია, და ეზო ნამეტნავად, მოიყვანა იმ წესში და სისუფთავეში, რომ დღეს ქუთაისში პირველი საჩვენებელი ადგილია ყველა უცხო სტუმართათვის და სხვაც ასეთი.

ზაისში 1913 წ. ქუთაისში იყო ეპისკოპოსი ეკლესის მიზრონის საცხებლად, მრევლისაგან იგი დიდის ამბავით იყო მიღებული.

ეპისკოპოსმა ქუთაისში მიბრძანების და ეკლესის ნახვის შემდეგ სთქვა: „მე მიმგზავრნია ბევრს აღაგას, ამ მგზავრობის დროს ბევრი ეკლესია მინახვს და ასე სუფთად, ასე კარგად მოწყობილი და შენახული ეკლესია კი არსად შემხვედრია“. ყოვლად სამღვდელომ დიდი მაღლობა გადასცა დონ დამიანეს და უსურვა მას ასე მოქმედება მრევლის წინაშე.

დონ დამიანე ყოველს ლირსებასთან ერთად გახლავსთ კარგად მცოდნე ქართული ენის, ქართული ლიტერატურის და საქართველოს ისტორიის. იგი ქართულ მწერლობას გულისყრებანად ადგვნებს თვალ-ყურს, ყოველს სასიკეთო, თუ საზოგადო საქმეებთა არსებობასც მხურვალედ ადგვნებს თვალ-ყურს, მრევლშიაც დაუზარელი და ხელ-გაშლილი მოლვაწეა.

**ბათუმის რომის ქართველ ქათოლიკეთ ეკლესიის
წინამდღვარი დონ გაბრიელ ასლანიშვილი**

დონ გაბრიელ ასლანიშვილი, ანუ სომეხთაგან ასლანოვად წოდებული, შთამომავლობით ქართველია და იგინი სოფ. ბავრელები არიან (ახალქალ. მაზ.). დონ გაბრიელი დღეს ბა-



თუმის ქართველ კათოლიკეთ ეკლესიის წინამძღვანელ უკიბისადა
ლავში.

დონ გაბრიელ ასლანიშვილი დაიბადა 1860 წ. ქუთაის-
ში. სწავლა მიიღო ჯერ კონსტანტინეპოლის პ. ხარისხისაშვილის
სკოლაში, მერე მომზობანს და რომს, სწავლა დაამთავრა
1890 წ. და მაშინათვე ეკურთხა მღვდლად.

დონ გაბრიელმა იცის ეტროპიული და აზიური ენები,
ზედ მიწევნით და ჩინებულად ქართული ენა, იგი დიდათ მო-
ყვარედ საქართველოს ისტორიის, საქართველოს ცენტრალური
საქმეების არსებობისაც გულმხურვალედ აღენებს თვალ-
ყურს.

დონ გაბრიელ ასლანიშვილი ხალხის ცხოვრებაზედ გო-
ნიერი შეხედულების არის და მსოფლიო მიმართულების მო-
ძღვარი, ამიტომაც იმეცადინა მან და თავის ძმის წულებს,
როგორც ვაჟს, ისე ქალს, მისკა რუსეთის უმაღლეს სასწავ-
ლებლებში სათანადო უმაღლესი სწავლა-განათლება. ქართველ
კათოლიკეთა გვაროვნულ პირობებსაც კარგად აღვენებს თვალ-
ყურს, ამის შესახებ სწორე მოსაუბრე გახლოვს. მანვე შეა-
დგინა ქართულს ენაზედ რომის ქართველ კათოლიკეთათვის
ფართო სახმარებელი ლოცვის წიგნი და 1906 წ. თვილისში
ცალკეც გამოსცა.

დონ გაბრიელი, როგორც მსოფლიო შეხედულების პი-
რი, დიდი მომხრედ ხალხის განათლების და განვითარების,
ამიტომაც მისი წალილი დიდი მოწადინეა საქართველოში სკო-
ლების გამრავლების შესახებ. თავის მრევლშიაც იგი ამ მცნე-
ბას საქვეყნოდ ღალადებს.

ღარიბ-ღატაკ ერთა გარემოებაც მას ყოველთვის ახსოვს,
მრევლში იგი ფიზიკიდ უმჩერს ამ სენს. ამიტომაც მან იმე-
ცადინა და ერთ დროს იხალქალაქის მაზრიდამ, რამდენიმე
კომლი ქართველ უმიწაწყლო გლეხები გურში გადმოსახლა,
მათ მოუპოვა იჯარით გორისკენ მამულები და დაასახლა, ამ
საქმის გამო მას მოუვიდა ბევრი შრომა და ნიკოერად და-



ხარჯვა. ვიღორე ამ გლეხებს დააბინავებდა. თუ პატეკაციაშია
ყვარე, უამისოდ ძნელიდ რომ ვინჩემ იიტანოს ასეთი შრომა
და ქონების შეწირვა(3).

დონ გაბრიელი არის მეტის-მეტი კეშმარიტი და მართა-
ლი მღვდელი, მას სიმართლე, პატიოსნება და კაცის პიროვ-
ნების შეხება ძრიელ ეჯვარება. კაცის ავად მოქცევა, ვისიმე
დაჩიგვრა, დაბრიყვება და სხვაც ყველა ასეთი მისთვის აუ-
ტანელია. ასეთ საქმეთა ჩადენას იგი არავის აპატივებს. მკაფ-
რი მოსარჩილეა დაჩიგრულთა და დევნილთა პიროვნების ხელ-
შეუხებლობისთვისაც. კაცთა ცხოვრებაში დონ გაბრიელს სის-
წორე და კეშმარიტება დიდს საჭიროებათ მიაჩნია. ამით იგი
ისე პომზადებული რომ მას შეუძლიან კარგი ვექილობაც
გასწიოს, ამით იგი მომზადებული მღვდელი გახლავს.

ამიტომაც უფრო სასიამოენო იყო ის გარემოება, რომ
დონ გაბრიელი ბათუმის ეკკლესიის წინამღლერად ამოირჩიეს,
აქ, ამ სადაც წასართმევ ეკლესიას სწორედ ასეთი მღვდელი
სჭირია, რომ მან ეკკლესია წარტაცვისაგან დაიცვას.

დონ გაბრიელმა ეკკლესიის საქმენი კარგად შემოფარგ-
ლა, მოდავეებსაც გული დაუდინჯა, ეკკლესიის შეკეთებაც
მოახერხა, საეკკლესიო ადგილის ვალიც გადიხადა, — სხვაც
ბევრი რამ გააკეთა. დღეს ასეა ბათუმის ეკკლესიის საქმე, —
შემდეგ როგორ იქნება, ეს უწყის ღმერთმა.

თვითლისის რომის ქართველ კათოლიკეთ ეპკლესიის
წინამძღვარი პატრი ლაზარე გოზალოვი.

გოზალოვების ძევლი გვარი კოქ-ბროლაძეა. იგინი მეს-
ხეთ-ჯავახეთის სოფლელები გახლავან. გოზალოვები მათ ეწო-
დათ ოსმალთა გავლენის დროს, სომეხ-კათოლიკეთა მანქანე-
ბით. პატრი ლაზარე თვითლისში დანიშნულ იქმნა პატრი
დომინიკ ნულაშვილის შემდეგ.



პატრი ლაზარე გონიალოვი დაიბადა 1871 წ. ქოთ. ვალეს (ახალც. მაზ.). მამა ამათი იყო ივანე, დედა — სოფია. პირველ დაწყებით პატრი ლაზარე სწავლობდა სოფ. ვალეს სახუცელებელში, მერე სწავლობდა სოფ. უდეს, თავის ბიძა სტეფანე გონიალოვთან. 1882 წ. სტამბოლს გაემგზავრა, იქ სწავლობდა ხარისკირა შეილთან. მერე გაემგზავრა რომს, სწავლობდა პაპის კოლეჯიში. კერძოთ შეისწავლა ბერძნული ტიბიქინი და მასთან ქართულიც კარგად. რომში სწავლა დამთავრა, მერე დაბრუნდა საქართველოში, იქედამ გაემგზავრა სარატოვში და იქ კათოლიკის ეპისკოპოსისაგან 1896 წელს კურთხეულ იქმნა მღვდლად. კურთხევის შემდეგ იგი დაბრუნდა სამშობლოში და ლათინის ტიბიქინით მსახურებდა ახალციხის ერთს ეკკლესიაში, მასი უნვე იგი გახლდათ ახალციხის სამოქალაქო და სამრევლო სკოლებში მასწავლებლად.

სადაც კი მსახურებდა პატრი ლაზარე, იგი კველვან სტოვებდა კეთილ ხსოვნას და პატიოსან შრომის მოსაგონარ ცნობებს. 14 დეკემბერს, 1907 წ. იგი გადმოყენილ იქმნა თფილისში რომის ქართველ კათოლიკეთა ეკკლესიის წრნამძღვრად და მართველად. ეს ეკკლესია არის ტახტი კათოლიკეთ ეკკლესიისა საქართველოში კერძოთ და საერთოდ მთელს კავკასიაში. შაშახალამე ეს არის უპირატესი თანამდებობა პატრი ლაზარესთვის.

პატრი ლაზარემ იცის ენები ლაზინური, ფრანგული, რუსული, ბერძნული, სომხური, თათრული და ქართული ზედ-მიწევნით და კარგად. იცის კარგად საქართველოს ისტორია, იუნამს დაბალოვებით ქართულ ლიტერატურას, ქართველ კათოლიკეთ და საქართველოს კულტურას საქმეებსაც ფხიჩლათ იდევნებს თვალურებს.

პატრი ლაზარე გონიალოვი თფილისში დაინიშნა ისეთ დროს, როცა ჩეენს სამშობლოში ჯერედ კიდევ დიდი აურზაური იყო და მასთან თფილისის კათოლიკის ეკკლესიის კათხებიც იტეხილი გახლდათ. ამ დროს უნდა გადაწყვეტილი-



ყოს ამ ეკულესის ბეჭ-ილბალიც, თუ იგი ვისი საკუთრება იყო. ქართველ კათოლიკების, სომხების, ანუ იქნება ეს ეკულესია ორივეს საკუთრება გახლდათ — აქ თარიღის ერთნაირი უფლებაც აქვნდათ.

სამწუხაროდ, ამ ეკულესის საქმეებში ლათინის წესის პატრები სულ ვერ იჩენდნენ სათანადო ენერგიას, ერთად-ერთი შხოლოდ პატრმა ფილიპემ მიაქცია ჟურიადლება, მას შემდეგ კი ყოველივე მოისპო და გაქრა. ხოლო არ გაქრა ამ ეკულესის სადაც კითხვა.

მოვიდა დრო და ეძირ, როცა ამ ეკულესის ბეჭი უნდა გადაწყვეტილიყოს, სწორედ ამ დროს, ამ სადაც საქმის მართველად დანიშნულ იქმნა პატრი ლაზარე გოზალოვი. კეშმარიტად, რომ პატრი ლაზარე თითქოს განგებამ გამოუგზვნა ამ სადაც ეკულესის მფარევლად. პატრმა ლაზარემ იდა თევს ამ ეკულესის სადაც საქმის გათავება, გადაწყვეტა მის, თუ ვისი უნდა ყოფილიყოს ეს ეკულესია, მან ამისათვის დაიწყო ცდა როგორც რესერტის მთავრობის წინაშე, ისე რომის ტახის. ბევრი დავი-დარაბის ატანა შეხედა პატრი ლაზარეს, ბევრი ცდა და კიმათი, მაგრამ მან მაინც გული არ გაიტეხა და ცდას თავი არ დაანება, იმედი აქნდა რომ სიმართლე თავისის გაიტანდა — გაიტანა კიდეც. ეკულესია ქართველებისად იქმნა მთავრობისაგან ცნობილი.

პატრი ლაზარეს ენერგიულის ცდით და შრომით დღეს ამ ეკულესის საქმე სომებთაგან თავისუფალია, ეკულესია განთავისუფლდა. დღეს ეს ეკულესია თავის მამულებით ქართველ რომის კათოლიკეთა საკუთრებას შეადგენს. ყოველივე ასეთ საქმეთა ცდასთან სომებთა გული 30 ათასი მანეთიდაც იქმნა შეჯერებული, ეს ფული გადუხადა ლევან ზუბალაშეილძა.

სტამბოლის ქართული სტამბის საქმენი.

სტამბოლის ქართული სტამბა ერთ დროს ქართველ საზოგადოებას კარგად ემსახურებოდა. მიგალითებრ ხევნებულ სტამბაში შრავლიდ იყვანდნენ შეგირდებს ხელობის შესასწავლად, სტამბის ხელოსნებს გარდა იქვე ასწავლიდნენ მათ წერა-კითხვას ფრანგულს ენაზედ, ლათინურს, ბერძნულს, ოსმალურს, სომხურს და ქართულს.

სტამბაში ბერებიც მუშაობენ.

ხევნებულსავე სტამბაში, ხელოსნობას ასწავლიდნენ სტამბოლის ქართველ კათოლიკეთ მონასტრის სკოლის მოწაფეებს. ასეთ პირთა რიცხვი იქ 1870 წელს უკვე გამოსჩანდა. 1876, 77 და 78 წლებს რაც კი კონსტანტინეპოლის და მონიობანს (ფრანგია) ქართულ სტამბებში წიგნები გამოიცენ, უკალი ესენი ამ მესტამბე ქართველ კათოლიკეთ ახალგაზრდა ბერებისაგან არის ამოწყობილი.

სტამბოლის ქართული სტამბის განახლება.

1913 წ. თფილისიდამ რამდენიმე ასი მანეთის ქართული ახალი სოფები გაიწერეს. სტამბა განახლეს, სურაელი იქცა, რომ ქართული წიგნების ბეჭედაც დაიწყონ.

კონსტანტინეპოლის ქართულ სტამბას დღეს აწარმოებს შესტამბე, ინუ სტამბის ხელობის კარგად მცოდნე სოლომონ ვადაჟეორია, თფილისის სტამბის ასპარეზზდ ხელოსნობით კარგად ცნობილი.

ნიმუში კონსტანტინეპოლის სტამბის.

თფილისის სტამბების ასპარეზზედ მუშაობს ხელოსნობით ქართველი კათოლიკე ალექსანდრე მირაქოვი. წიგნი „მოლა



მასრადინის“ ავტორი და ასევე სხვა ასეთ წიგნებისგან მარტინის წერილები გააშ. „საქართველო“-შიც იბეჭდება, იგი გონიერი შეხედულების გახლავსთ ქართველ კათოლიკუთა გვაროვნობაზედ. ეს პირი გამოზრდილია სტამბოლს და განსაჭავლულია ქართულ სტამბაში, სადაც მას შეუსწავლია ენები: ფრანგული, იტალიური, ბერძნული, ოსმალური, სომხური, რუსული და ქართული.

მშითარისტების მოძღვრების მანიფესტი.

აუკილებოთ ქართველ კათოლიკეთ გვარის გადაყლაპვა, შექმა, მათ უკვე მოასწრეს და შექმებს რამდენიმე ასი ითასი ქართველობა და გაასომხეს. ამ გზას ივინი დაადგნენ 1737 წლიდამ. დღესაც მისდევენ მას მხურვალედ, ქართველ გვარის შესაქმელია აი რა ლონისძიებას ხშარობენ: ქართველ კათოლიკებთაგან მიჰყავსთ პატარა ბავშვები, მათ ზრდიან სომხურად, არწმუნებენ მათ რომ ივინი სომხის კათოლიკენი არიან, სომხის გვარისანი. მერე ამათ აკურთხებენ მღვდლად და გზავნიან საქართველოში ქართველ კათოლიკუთა გვარის წინააღმდეგ საბრძოლველად. ასეთი არიან ქართველი გვარის მკაფიო მტერნი თვით ქართული გვარის მშითარისტი მღვდლები და მათ შორის ამაზასპ საფარიანი და დიონისე კალატოზიანი, ორივ ქართველები.

მოქლე ისტორია ქართველ კათოლიკეთა.

(სურათებით)

შეუძლებლობის გამო ვერ ვბეჭდავთ ამ წიგნს. ამ წიგნიდამ დაგვექდეთ ზოგი სურათები ეხლა, უმეტესი ნაწილი სურათების კი ამ ხელთანაწერში იქნება მოთავსებული. ეს წიგნი მდაბიურად განშარტვა არის პ. თამარიშვილის წიგნის. სხვაც ბევრი რამ ზასალებია მოთავსებული.

ფურცელთა ციფრისათვა არისა.

ერთის უკეთესობის ბოროტებით, წიგნში მოხდა ასეთი უხერხული შეცდომა:

სურათების შემდეგ, იწყობა ბიოგრაფიები 289 გვერ.
აღნიშვნით. აქ შემდეგ 205 გვ. ორჯერ არის განშეორებით
დასტამბული. აქ შეცდომა წერილებში, ანუ მთელ წიგნის
ტექსტში არსად არის. ბიოგრაფიები ერთმანეთს რიგით მის-
დევს, მარტოდ ამ გვერდების ციფრებია თეთული, ამიტომ
ამ გარემოების ყურადღება არ უნდა მიექცეს, ვინაიდგან ნა-
წერში შეცდომა არსად არის.



ზაქარია აბაშიძე

კუკი—რევოლუციის ქუჩა საკუთარი სახლი № 5 გამოცემისათვე

მზადდება დასაბეჭდად „ქართული მწიგნობრობა“ ქართული წიგნის მიღმიერბის დამსება, სამკითხველობის, სოფლებში წიგნების ტარება, წიგნების გამოცემა და გავრცელება, გამომცემლობა და რედაქტორობა და სხვა ცნობანი.

„დიდებული საქმე ქართველი ერისა და ნიკოლოზ ზებედეს-ძე ცხვედაძე“. 200 გვ., იქნება გამოსცეს ვინწყობი.

ზასი მრთი განათი

სურათები დაიბეჭდა წიგ. გამომც. ქართ. ამხანაგობის სტამბაში. 18 ფოტო ტექსტი დაიბეჭდა „სორაპენი“-ს სტამბაში, ორი ფოტო ქ. თავართვისაძის სტამბაში და ერთი ფოტო არ. კერძაცელიძეს სტამბაში.